ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 22 მარტი, 2022 №57 (8835) ფასი: 80 თეთრი

## „არაფერი დამიშავდა ამ უკანონობით“

რატომ დააკავეს ადვოკატი მამულაშვილი

გვ.5

გვ.5

## სამეგრელოში გოგონას გაუპატიურებისთვის დაკავებულ მამა-შვილს 20-20 წელი მიესაჯა

# „რუსეთი შედის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კოლაფსში“

გვ.4

## მირიან მირიანაშვილი: „გვეძლევა საშუალება, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აქტუალური გავხადოთ“

## „ჩვენ ან სრულად გამარჯვებული გამოვალთ ამ სიტუაციიდან, ან – სრულად დამარცხებული“

## „სალომე ზურაბიშვილზე დაყრდნობა ცეცხლთან თამაშია“

შალვა ხაჭაპურიძე: „უკრაინასთან მიმართებით კარგი პოზიცია დაიკავა, რაც ძალიან გამიკვირდა... პენსიაზე გასასვლელად ემზადება და სათქმელი უნდა ჰქონდეს“

გვ.2

## „არ გვყავს ჯარი, არ გვაქვს ფული, არაფრის თავი ჩვენ არ გვაქვს, ბრძოლა ჩვენ არ შეგვიძლია და ვართ მათხოვრები“

გვ.3

## „სააკაშვილი ცდილობს, აქტუალობა არ დაკარგოს“

ვახტანგ ძაბირაძე: „დღეს ქვეყანაში არც ერთი ნიშანი არ არის, რომ რევოლუცია მოხდეს“

## „ფასების ზრდა პანიკამ გამოიწვია“

ნიკა შენგელია: „ეს გაზაფხული იქნება ძალიან ძნელი გადასატანი, ყველა წინა წელთან შედარებით“

გვ.3

## დავით ლილუაშვილი: „სააკაშვილი იმყოფება იმ ვითარებაში, რომელსაც ითვალისწინებს კანონი პატიმრობის შესახებ“

გვ.4

## „ნაცებიდან რუსეთის სპეცსამსახურებთან ბევრი ურთიერთობს“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მთავრობა ვახერხებთ იმას, რომ ქვეყანაში არის შენარჩუნებული მშვიდობა და სტაბილურობა“

გვ.2

1993230720223

**5** პროკურატურამ „ფორმულას“ ჟურნალისტისა და ოპერატორების ცემისთვის დაკავებულს ბრალი წარუდგინა

**3** პრემიერმა ყველა მუსლიმს მიულოცა ნოვრუზ ბაირამი

**5** 82 წლის ქალის განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ ნიკო ნიაურს პატიმრობა შეეფარდა

**6** „რუსული გემებისთვის ყველა პორტი დაკეტეთ“ პრეზიდენტმა ზელენსკიმ გერმანიას მიმართა

# „სალომე ზურაბიშვილზე დაყრდნობა ცეცხლთან თამაშია“

## შალვა ხაჭაპურიძე: „უკრაინასთან მიმართებით კარგი პოზიცია დაიკავა, რაც ძალიან გამიკვირდა... პენსიაზე გასასვლელად ემზადება და სათქმელი უნდა ჰქონდეს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.**



***– ბატონო შალვა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? როგორ ხსნით ჩვენი ხელისუფლების პოზიციას უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით?***

– ყველა ვხედავთ, რომ მსოფლიოში შექმნილია რთული მდგომარეობა და ეს ისე არასდროს უკავშირდებოდა საქართველოს, როგორც ამჟამად. საქართველოს ხელისუფლება საერთოდ არ ახსენებს საქართველოს საკითხს. არადა, მთელი მსოფლიოს ლიდერები დღეში რამდენიმეჯერ ახსენებენ საქართველოს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ თუ უკრაინაში რუსეთი გაიმარჯვებს, შემდგომში ვისაც რუსეთი მიადგება, ეს გახლავთ საქართველო და ამის შემდეგ – მოლდავეთი. ამიტომ საფრთხეები არის ძალიან დიდი. ხელისუფლება დეკლარირებულად რასაც ამბობს, თუმცა ძალიან ცუდად ამბობს, გაუგებრად, ბუნდოვნად, ტოვებს ორაზროვნების შთაბეჭდილებას. ხელისუფლება ამბობს, მე არ მინდა გადავდგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც რუსეთს გააღიზიანებს, რუსეთი წააგებს თუ მოიგებს, შესაძლოა, წაგებული რუსეთიც მოგვიტრიალდეს და ეს ჩვენთვის საკმარისი იქნებაო. ჯამში, იხატება ასეთი სურათი, რომ ჩვენ არ გვყავს ჯარი, არ გვყავს პატრონი, არ გვაქვს ფული, არაფრის თავი ჩვენ არ გვაქვს, ბრძოლა ჩვენ არ შეგვიძლია და ვართ მათხოვრები.

**„არ გვყავს ჯარი, არ გვაქვს ფული, არაფრის თავი ჩვენ არ გვაქვს, ბრძოლა ჩვენ არ შეგვიძლია და ვართ მათხოვრები“**

***– ანუ ჩვენი თავდაცვა ცუდ მდგომარეობაშია, ბატონო შალვა?***

– ასე გამოდის ხელისუფლების საუბრებიდან, რომ არაფრის უნარი ჩვენ არ გვქონია. აი, ამ ნარატივს მიჰყვება ხელისუფლება და მისი გარემოცვა. მათი განცხადებებიდან მე სწორედ ამ გზავნილებს ვკითხულობ.

***– დღეს მთელი მსოფლიო უკრაინის გვერდით დგას და ასეთ დროს როგორ შეიძლება, გაემიჯნო ამ პროცესს?***

– რა განცხადებებსაც აკეთებენ, სწორედ ეს იკითხება, აბა რა ვქნათ, არაფრის თავი ჩვენ არ გვაქვსო.

***– ვინც მხარი დაუჭირა უკრაინას, ხელისუფლების თვალში ყველა ნაცია.***

– ამ ყველაფერმა უკვე ტრაგიკომედიის სახე მიიღო. ხელისუფლება რა პოლიტიკასაც მისდევს, არგაღიზიანება აღარ ჰქვია ამას. ამას ჰქვია ჩასვრილის პოლიტიკა. მთელი ათი წელი რომ ემზადებინათ ჯარი, ახლა ასე საცოდავ პოზაში ყოფნა არ მოუწევდათ. თუმცა, ცხადია, სულ სხვაა ომი უკრაინაში და სხვაა – საქართველოში. ჩვენი რელიეფიდან გამომდინარე, ჩვენ სულ სხვა შეიარაღება და სულ სხვანაირი ტიპის ჯარი გვჭირდება. ახლა ასეთი რიტორიკული კითხვა, რა გინდათ, რუსეთთან ომი გინდათ? სულ ცოტა, უხერხულია. მაშინ 9 აპრილსაც დაგვესვა ეს კითხვა! აქ პოლიტიკურ არჩევანზეა საუბარი. არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ხელისუფლების ამ პოლიტიკასა და პოზიციას სახელიც კი ვერ მოვუფიქრე შესაფერისი. ძალიან არასახარბიელოდ გამოიყურება ჩვენი ხელისუფლება, მოდით, პირდაპირ ვთქვათ.

***– ჩვენც ხომ არ აღმოვჩნდებით რუსეთის მსგავსად სანქცირებულები დასავლეთის მხრიდან?***

– საკმაოდ საინტერესო კითხვაა. ამერიკის ელჩმა, ქალბატონმა კელი დეგნანმა, გააკეთა განცხადება, არ მოხდეს ისე, რომ საქართველო დაეხმაროს რუსეთს სანქციებისთვის თავის არიდებაშიო. საქმე რაში მდგომარეობს, ახლა მე რაც ვიცი, იურისტი ვარ, მაქვს ეს ინფორმაციები და წვდომა ამ საკითხებზე. ბევრმა ქართველმა მოგვმართა ჩვენ, რომ უნდათ შპს-ების დარეგისტრირება. სქემა ასეთია: ვითომ ქართველი შეიძენს რუსისგან, სიტყვაზე, ქვანახშირს ან სხვა რამეს, ამას მნიშვნელობა არა აქვს და მერე გაყიდის ევროპაში.

***– ეკონომისტები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ საქართველო შავ ხვრელად იქცევა, აქ მოხდება პროდუქციის გადაფუთვა და ევროპულ ბაზარზე გატანა. ეს ყველაფერი რამდენად სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის, თუკი აქ მოხდება რუსული ეკონომიკის აყვავება?***

– ხომ ვხედავთ, რა განცხადებებსაც აკეთებენ ჩვენი ხელისუფლების წევრები, თუნდაც იმავე რძის პროდუქტების შეტანაზე რომ იყო საუბარი რუსულ ბაზარზე, სოფლის მეურნეობის მინისტრმა განაცხადა, ეს ძალიან კარგი შესაძლებლობაა. თუ ასე შეხედავ, რომ ფულს შოულობ, კი, ეს არის შენთვის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ამ შემთხვევაში შენ ამოვარდნილი ხარ მთელი მსოფლიო პოლიტიკიდან. მსოფლიომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რუსეთი სანქციებით უნდა მოვახრჩოთ. ამ პოლიტიკით შორს ვერ წავალთ. ეს არის ამ ხელისუფლების არჩევანი. რამეს იტყვი და პასუხი გამზადებული აქვთ – ომი ხომ არ გინდათ?!

***– „ქართული ოცნება“ საქართველოს პრეზიდენტს საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივის. რით ხსნით ხელისუფლების ასეთ დამოკიდებულებას სალომე ზურაბიშვილისადმი?***

– სალომე ზურაბიშვილმა თავისით იყარა კენჭი. ის არ ყოფილა „ოცნების“ კანდიდატი. „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატი საერთოდ არ დააყენა და მე მაშინაც ვწერდი, რომ „ოცნებას“ უნდოდა ბაქრაძის გასვლა. ბაქრაძე კარგი ბიჭია, ბულკივით არის, ევროპასა და ამერიკას უყვარს და ფსონს მასზე დებდნენ. ნამდვილად არ ეგონათ, გრიგოლ ვაშაძე თუ გავიდოდა პირველ ტურში. მეორე ტურში სალომე და ვაშაძე აღმოჩნდნენ და ამის მერე მოიფიქრა „ოცნებამ“, მისთვის მხარი დაეჭირა. გავიდა ეს შენი სალომე დიდი წვალებითა და უბედურებით. მე მაშინაც ვამბობდი, რომ სალომეზე ფსონის დადება ცეცხლთან თამაში იყო. ეს ქალბატონი როდის რას იზამს, კაცი შვილმა არ იცის!

***– ასე კარგად იცნობთ მას?***

– მე ორი წელიწადი მასთან ვმუშაობდი, როგორც იურისტი. სად რას იზამს, რას იტყვის, არავინ იცის, უპროგნოზო ადამიანია.

***– ამას დადებით კონტექსტში ამბობთ თუ უარყოფითში?***

– აბსოლუტურად გაუთვლელი ადამიანია, სრულიად უპროგნოზო. დადებითისკენ ნამდვილად არ არის ეს ყველაფერი. რა თქმა უნდა, უარყოფით კონტექსტში ვსაუბრობ.

***– უკრაინასთან მიმართებით კარგი პოზიცია დაიკავა...***

– სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა. მე ძალიან კარგად ვიცი მისი ხასიათის თვისება. მას უნდოდა, მისი სახელი გაჟღერებულიყო. ის ემზადება პენსიაზე გასასვლელად. საქართველოში გამჩერებელი ეგ არ არის, წავა საფრანგეთში და იქ სათქმელი ხომ უნდა ჰქონდეს?! ის საკუთარ თამაშს თამაშობს ამ შემთხვევაში. სწორედ ამ დროს გამოუხტა „ოცნება“ და შენ ვის თამაშს თამაშობ, ხომ არ გავიწყდება, მე მოგიყვანე, მე დაგსვი პრეზიდენტად და აღარც გვეკითხები, რომ მიდიხარო?! ახლა რას შვრებიან, იცით? ბავშვი რომ უნდა დასაჯოს უფროსმა და საამისოდ გზებს ეძებს, აი, ამას აკეთებს დღეს „ქართული ოცნება“.

***– ცდილობენ, შეაშინონ?***

– ეუბნებიან, თუ ჭკუით არ იქნები, მოგასრიალებთ მანდედანო და სწორედ მაგიტომ შეაქვთ საკონსტიტუციოში სარჩელი. რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო ამ სარჩელს მიიღებს, ატყდება ერთი ამბავი, ტელევიზიები, პრესა, დაიძაბება სიტუაცია და სალომე ზურაბიშვილიც შეშინდება და გაჩერდება. ბუნებით მშიშარა ადამიანია.

***– როგორი იქნება ჩვენი ბედი, მომავალი სიტუაციიდან გამომდინარე?***

– ამას კითხულობს ყველა: რა გვეშველება? თუ უკრაინა მოიგებს, რუსეთი სანქციების ქვეშაა, თუ საქართველოსკენ მოტრიალდება რუსეთი, საომრად აღარ მოტრიალდება. დღეს მსოფლიომ კარგად იცის, ჩვენ რა დღეშიც ვართ. ახლა არ უნდა ავცდეთ ამ ორბიტას და უნდა მიგვიღონ ნატოსა და ევროკავშირში.

***– ნატოსა და ევროკავშირს უფრო მეტად სჭირდება დღეს ჩვენი თავი, ვიდრე ჩვენ ისინიო, ამგვარ შეფასებებსაც ვისმენთ და ასეა?***

– რა თქმა უნდა, იმათ ჩვენ ვჭირდებით. მათი მიზანია რუსეთის ალყაში მოქცევა და ამაში საქართველო დიდ როლს შეასრულებს. ამ სიტუაციამ სულზე მოგვისწრო, თორემ, აქ ისეთი პოლიტიკა მიდიოდა, სად ამოვყოფდით თავს ამ ხელისუფლების პირობებში, კაცმა არ იცის.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მთავრობა ვახერხებთ იმას, რომ ქვეყანაში არის შენარჩუნებული მშვიდობა და სტაბილურობა“

– ჩვენი მთავრობა, ჩვენი გონივრული და სახელმწიფოებრივი, ეროვნული პოლიტიკით ვახერხებთ იმას, რომ ქვეყანაში არის შენარჩუნებული მშვიდობა, სტაბილურობა. ეს ასე გაგრძელდება და მინდა, ყველას მოგიწოდოთ სიმშვიდისკენ, კონსოლიდაციისკენ.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ, 21 მარტს, ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ერი უნდა იყოს შეკრული, ერთიანი და ძლიერი, მტკიცედ უნდა გაგრძელდეს ქვეყნის მსახურება.

– დღეს ჩვენ წინაშე ძალიან რთული გამოწვევები არსებობს, რეგიონში უპრეცედენტო მასშტაბის ომი მიმდინარეობს, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენი მთავრობა, ჩვენი გონივრული და სახელმწიფოებრივი, ეროვნული პოლიტიკით ვახერხებთ იმას, რომ ქვეყანაში არის შენარჩუნებული მშვიდობა, სტაბილურობა, ეს ასე გაგრძელდება და მინდა ყველას მოგიწოდოთ სიმშვიდისკენ და კონსოლიდაციისკენ.

ჩვენი ერი უნდა იყოს შეკრული, ერთიანი და ძლიერი, მტკიცედ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის მსახურება, – აღნიშნა პრემიერმა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობამ უპრეცედენტო მხარდაჭერა გამოხატა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ.

– ჩვენი თითოეული გადადგმული ნაბიჯი, გარწმუნებთ, რომ არის მიზანმიმართული იმისკენ, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს დაცული და თქვენი, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება იყოს დაცული, სხვა მოტივაცია, სხვა არგუმენტი არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დავიცვათ, იყოს მშვიდობა და სტაბილურობა, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი განცხადებით, სასიხარულოა ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებსა და პოლიტიკას იზიარებს.

– მახარებს ფაქტი, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები გაზიარებულია სრულად საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამასთან, როგორც პრემიერმა საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა, მმართველ გუნდს ამ საკითხზე არცერთი პასუხგაუცემელი კითხვა არ დაუტოვებია.

– ყველგან მკაფიო მხარდაჭერა გამოვუცხადეთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს. ამას გარდა, ჩემთვის, როგორც პრემიერ-მინისტრისთვის, უზენაესი ინტერესი არის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა, ჩვენი მიწა-წყლის დაცვა. ასე რომ, ჩვენ მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი, გარწმუნებთ, მიზანმიმართულია იქით, რომ ჩვენი ქვეყანა და მოქალაქეების უსაფრთხოება იყოს დაცული, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით „გორბის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, შეკითხვაზე, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობამ უარი განაცხადა უკრაინაში მოხალისე მებრძოლების გაგზავნის მხარდაჭერაზე და არის თუ არა ეს სწორი, გამოკითხულთა უმრავლესობას, 60,5% ამბობს რომ კი, მთავრობა სწორად მოიქცა. ამავე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 64,5% ფიქრობს, რომ სწორი იყო გადაწყვეტილება, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობა არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ სანქციებს. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა, 73,3% ემხრობა „ქართული ოცნების“ მთავრობის პოლიტიკას, რომლის დეკლარირებული მიზანია, არ მოხდეს საქართველოს ჩართვა რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე ომში.

პრემიერმა რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპული ქართველი სამხედროების ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა.

– მინდა, ჩემი სამძიმარი გამოვუცხადო ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების ოჯახებს, 3 ყოფილი სამხედრო გარდაიცვალა ამ ომის დროს, – განაცხადა მან.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა, რათა ისინი საქართველოში გადმოასვენონ.

– ისინი იბრძოდნენ, ჩემი ინფორმაციით, ჯერ კიდევ აფხაზეთის ომში, ზოგიერთი მათგანი, ასევე აგვისტოს ომში და, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მოხდეს მათი გადმოსვენება საქართველოში, დაბრუნება და რა თქმა უნდა, მათ ოჯახებს კიდევ ერთხელ ვუცხადებ სამძიმარს, – აღნიშნა პრემიერმა.

მან აღნიშნა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დროს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ გამართულა საპროტესტო აქციები და არ მოუთხოვიათ მთავრობის გადადგომა,

– ეს არის მოღალატეობრივი პოლიტიკა, ეს არის მე-5 კოლონა, შულავერის კომიტეტი, რომელიც საქართველოში მოქმედებს, ჩვენ ამას არ დავუშვებთ და ჩვენი მოსახლეობის ინტერესს დავიცავთ ბოლომდე, – განაცხადა მან.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, საქართველოს სიტუაცია განსაკუთრებული და უნიკალურია.

– ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის 20% არის ოკუპირებული და რუსის ჯარი დგას ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენ ვცხოვრობთ რუსულ ჯართან ერთად და ამ დროს, ამ ვითარებაში, როდესაც სიტუაცია არის არაპროგნოზირებადი და მოწყვლადი მთელი რეგიონისა და ევროპის მასშტაბით, რა თქმა უნდა, სრულად მიუღებელი და გაუგებარი იყო ის ანტისახელმწიფოებრივი აქციები, რომლებიც იმართებოდა.

ჩემთვის, პირადად, როგორც მოქალაქისთვის, სრულიად მიუღებელია აღნიშნული. სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ ეს, რა თქმა უნდა, იმ ძალების მიერ იყო ორგანიზებული, რომლებიც წლებია უკვე ატარებენ ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ პოლიტიკას, რა თქმა უნდა, ეს არის მოღალატეობრივი პოლიტიკა, ეს არის მე-5 კოლონა, ეს არის შულავერის კომიტეტი, რომელიც საქართველოში მოქმედებს. ამიტომ, ჩვენ ამას არ დავუშვებთ და ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოსახლეობის ინტერესს დავიცავთ ბოლომდე, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 599-532-690
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილი ცდილობს, აქტუალობა არ დაკარგოს“

## ვახტანგ ძაბირაძე: „დღეს ქვეყანაში არც ერთი ნიშანი არ არის, რომ რევოლუცია მოხდეს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, მიხეილ სააკაშვილმა სამოქმედო გეგმაზე ისაუბრა. ის გაზაფხულზე მთავრობის შეცვლაზე, წლის ბოლომდე რიგგარეშე არჩევნებსა და ეროვნული თანხმობის მთავრობის ჩამოყალიბებაზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, რის საფუძველზე აკეთებს ამ განცხადებას?***

– ვერ გეტყვით, ეს გეგმაა თუ სურვილი. თუ გეგმაა, მაშინ მას უნდა მოჰყვეს გარკვეული აქტივობების ჩამონათვალიც, როგორ, რანაირად აპირებს ამ ყველაფერს. თუ სურვილია, მაშინ გასაგებია, სურვილი მოქმედებას არ ითვალისწინებს, სურვილია და მორჩა. თუ სააკაშვილი რეალურ გეგმაზე აკეთებს განაცხადს და აფრთხილებს თავის მომხრეებსა თუ მოწინააღმდეგეებს, რომ მოხდება ხელისუფლების ცვლილება, მაშინ, ისიც უნდა გვითხრას, რა ფაქტორები განაპირობებს ამ ცვლილებას, რა მოხდა ისეთი ქვეყანაში, რომელმაც შეიძლება ასეთი ცვლილებები გამოიწვიოს.

როდესაც ვუსმენდი, ასეთი თანმიმდევრობა იყო: იქნება მრავალრიცხოვანი აქციები, მოხდება ხელისუფლების ცვლილება და ჩაინიშნება რიგგარეშე არჩევნები. არადა, პირიქით უნდა იყოს, ჯერ ინიშნება რიგგარეშე არჩევნები და შემდეგ იცვლება ან არ იცვლება ხელისუფლება. თუ რევოლუციურ სცენარზეა საუბარი, მაშინ ამას საფუძველი უნდა ჰქონდეს. ხომ ცალსახად გასაგებია, როდის ხდება რევოლუცია. მე ვფიქრობ, რომ დღეს ქვეყანაში არც ერთი ნიშანი არ გვაქვს იმისათვის, რომ მოვლენები რევოლუციური სცენარით განვითარდეს.

მაგალითად, ჩაინიშნა რიგგარეშე არჩევნები. ამ შემთხვევაშიც არაფერი ოპოზიციის სასიკეთოდ არ შეცვლილა დღეს ქვეყანაში, რომ ამ არჩევნებში ოპოზიციას ჰქონდეს წარმატება. დღეს საზოგადოების, ამ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა, ესმის პოლიტიკა, არ ესმის, ერთიანად არის დაზაფრული იმ მოვლენებით, რომლებიც უკრაინაში ვითარდება. არავინ არ იცის, უკრაინაში ომი როგორ დასრულდება და რა შედეგებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. მთელი მსოფლიო, უნდა თუ არ უნდა, უკვე ამ ომის მონაწილეა. როგორც არ უნდა დასრულდეს ომი უკრაინაში, ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ მსოფლიო უკვე ისე ვეღარ იცხოვრებს, ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება. ამიტომ დღეს სრულიად სხვა რამით, სხვა პრობლემით არის საქართველოში ადამიანების გონება დაკავებული. ხალხი შეშინებულია და სავსებით გასაგებია, რატომაც. ამიტომ ოპოზიცია და მათი გეგმები, ვფიქრობ, ნაკლებად არის ახლა წამყვანი. ამ კონტექსტში სრულიად გაუგებარია ამ გეგმის განხორციელება როგორ უნდა მოხდეს. რამე ახალი მუხტი გაჩნდა? ხალხი ქუჩაში გამოდის მოთხოვნით, რომ გადადგეს ხელისუფლება თუ რა ხდება?!

***– მაშინ, რა გამოდის, სააკაშვილი მართლაც მხოლოდ თავის სურვილებზე საუბრობს?***

– არის ერთი საკითხი: ის ცდილობს, აქტუალობა არ დაკარგოს. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც წამყვანი თემა უკრაინაში ომია. შიმშილობს-არ შიმშილობს, შეწყვიტა-არ შეწყვიტა – უკვე რამდენი ხანია, ამაზე ხალხი არ საუბრობს სრულიად გასაგები მიზეზებით. ამიტომ სააკაშვილი ცდილობს, აქტუალური იყოს. აბა, გამაგებინეთ, როდესაც საპარლამენტო ოპოზიციას უთხრა, ახლა პარლამენტის დატოვებისკენ კი არ მოგიწოდებთ, არამედ – „ქართული ოცნების“ მოშორებისკენო, ეს პარლამენტში ოპოზიციამ როგორ უნდა გააკეთოს?!

პარლამენტში ოპოზიციას რა ბერკეტი აქვს ისეთი, რომ ხელისუფლება გადააყენოს ან რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს?! უმრავლესობას შექმნის თუ მთავრობას გამოუცხადებს უნდობლობას?! არავითარი მსგავსი! ერთადერთი, რაც შეუძლიათ, ეს არის ის, რომ სესიებზე, სხდომებზე მოაწყონ ობსტრუქცია, ჩხუბი, ჩაშალონ სხდომა, მაგრამ, ამასაც როგორ გააკეთებენ, როდესაც იქვე მანდატურის სამსახურია. ისინი ჩაერევიან პროცესში და ოპოზიციონერ დეპუტატებს ამის შესაძლებლობას არ მისცემენ. ბოიკოტი უკვე ჰქონდათ გამოცხადებული და, რა შედეგითაც დასრულდა მთელი ეს პროცესი, ვნახეთ. არავითარი შედეგი ამას ოპოზიციისთვის არ მოუტანია.

***– კიდევ ერთი საკითხი: მიხეილ სააკაშვილმა ახსენა სალომე ზურაბიშვილი. როგორც ჩანს, მასზე გაბრაზებულია.***

– დიახ, ჩანს, რომ გაბრაზებულია სწორედ იმ განცხადებიდან გამომდინარე, რომელსაც სალომე ზურაბიშვილი პერიოდულად აკეთებს – არა და არასდროს! არა მგონია, ზურაბიშვილმა რამე დაკარგოს ქვეყნის შიგნით ან გარეთ ამ პოზიციის გამო.

***– როგორ ფიქრობთ, დასავლეთი პრეზიდენტ ზურაბიშვილს სააკაშვილის შეწყალების საკითხს არ უყენებს?***

– არა მგონია.

***– ევროპაში ბოლო ვიზიტის დროს შეიძლება არა და ამის დრო ალბათ არც იყო, მაგრამ, საერთოდ, დღეს დასავლეთი სააკაშვილს რა პერსპექტივით უყურებს?***

– მე ვფიქრობ, რომ დასავლეთისთვის სააკაშვილი დღეს აქტუალური არ არის. დღეს დასავლეთს ბევრად უფრო დიდი პრობლემები აქვს. საქმე ეხება ლამის მესამე მსოფლიო ომსა და ახალ მსოფლიო წესრიგს, სადაც ყველა თავისი ადგილისთვის იბრძვის.

# პრემიერმა ყველა მუსლიმს მიულოცა ნოვრუზ ბაირამი

ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანელებს, ყველა მუსლიმს, მიულოცა ნოვრუზ ბაირამი.

– მე მინდა, ჩვენს თანამოქალაქეებს, ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, ყველა მუსლიმს, მივულოცო გულითადად ნოვრუზ ბაირამი. ეს არის ახალი სიცოცხლის, განახლების დღე და მინდა, ყველას მივულოცო ეს დღესასწაული. მინდა, მათ ოჯახებს ვუსურვო ჯანმრთელობა, ბარაქა, მშვიდობა და კეთილდღეობა. ჩვენთვის მუსლიმი თემი ჩვენი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია.

ჩვენ ყოველთვის ერთად ვქმნიდით და ვქმნით ჩვენი ქვეყნის საერთო ისტორიას. ამიტომ, ჩვენი მთავრობის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ეთნიკურ აზერბაიჯანელს და თითოეულ მუსლიმს მათ მიერ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში შეტანილი წვლილისთვის, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# „ფასების ზრდა პანიკამ გამოიწვია“

## ნიკა შენგელია: „ეს გაზაფხული იქნება ძალიან ძნელი გადასატანი, ყველა წინა წელთან შედარებით“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ნიკა შენგელია პასუხობს.**

***– ბატონო ნიკა, შევაფასოთ ბოლო პერიოდის ეკონომიკური პროცესები. გვესმის შეფასებები, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესებით მთელი მსოფლიო ზარალდება. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? რამდენად სერიოზული კრიზისი გველოდება? ფასები ყოველდღე იმატებს პროდუქტებზე. რა მოლოდინები გაქვთ? გარკვეული სახის პროდუქტებზე სერიოზული დეფიციტი შეიქმნა. ეს პანიკამ გამოიწვია თუ უნდა ველოდოთ ამგვარ პროცესებს?***

– რა თქმა უნდა, ეს ომი აისახა ქართულ ეკონომიკაზეც და ძირითადად ეს გამოიხატა ფასების აწევაში და ამ შემთხვევაში მე გამოვყოფდი საწვავზე ფასებს, რომელიც ავტომატურად იწვევს სხვა პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასების ზრდას. ჩვენ არაერთი მოწოდება გავაკეთეთ ხელისუფლების მისამართით, რომ დროულად მოხსნან აქციზი და დღგ-ც საერთოდ საწვავთან მიმართებით, მინიმუმ სამი თვის განმავლობაში, სანამ დასტაბილურდება მსოფლიოში ნავთობის ფასები. ეს მთავრობის მიერ შესმენილი არ იქნა. ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან ამ გადასახადებს მოხსნიან, მაგრამ ეს გვიან იქნება. ასევე ეროვნული ბანკის ქმედებასაც არ ვამართლებ.

***– რასთან დაკავშირებით?***

– ის, რაც მოხდა ომის დაწყების შემდეგ. ეროვნულმა ბანკმა კურსი მიუშვა 3,5-მდე და ამის გამო დარჩა აწეული ფასები და დღემდე ეს ფასები გვაქვს.

***– ლარის გაუფასურებისთანავე ფასებიც კატასტროფულად იზრდება. ლარის კურსი რომ სტაბილურდება, გაზრდილი ფასი ქვემოთ აღარ იწევს.***

– სამწუხარო რეალობაა. ეს იმით აიხსნება, რომ მწარმოებლები, ესა თუ ის კომპანიები ნახულობენ ზარალს და შემდეგ ამ ზარალს ხომ უნდა გადაფარვა, შესაბამისად, ფასები ქვემოთ აღარ იწევს და არც დაიწევს, ამას უნდა შევეგუოთ. ინფლაციის მაჩვენებელი წელსაც გვექნება მაღალი. რაც შეეხება მოსახლეობის პანიკას, რომ რაიმე პროდუქტზე დეფიციტი იქნება, ასე ნამდვილად არ არის. ხშირ შემთხვევაში სწორედ პანიკა უწყობს ხელს ამ ფასების კატასტროფულად მატებას. თუნდაც

**„ყოვლისშემძლე ბიზნესმენები, რომლებიც მთავრობის ნავში არიან, უკვე ჩაერთვნენ რუს ბიზნესმენებთან მოლაპარაკებებში და აპირებენ, რომ საქართველო ეკონომიკურ ხვრელად გადააქციონ“**

რაც მოხდა შაქარზე. ამ პროდუქტზე სხვადასხვა ფასია. ფასი 3 ლარიდან იწყება და 4.20 ლარს შორის მერყეობს. ამის რეგულაციის მექანიზმები ჯერჯერობით ხელისუფლებას არა აქვს.

***– დეფიციტმა გამოიწვია შაქარზე ფასის მატება?***

– დეფიციტმა – არა, პანიკამ გამოიწვია, თანაც იმ პერიოდში ვალუტის კურსი იყო აწეული. უფასურდებოდა ჩვენი ვალუტა და, გამომდინარე აქედან, ექსპორტიორები უყურებდნენ, როდის დასტაბილურდებოდა ლარის კურსი. ახლა, ასე თუ ისე, ლარი დასტაბილურდა, წონასწორობის ნიშნული 3.20-ზე გააჩერა ლარმა. თუ შეანარჩუნებინებენ ამ კურსს, იქნება ძალიან კარგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მცირე და საშუალო ბიზნესს ემუქრება ძალიან დიდი ზარალი, თუკი ვალუტის კურსის რყევას კიდევ დაიწყებს ეროვნული ბანკი.

***– საწვავის ფასზე ვსაუბრობდით და ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ხელოვნურად არის ფასი საწვავზე გაზრდილი. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– არა, საწვავზე ხელოვნურად არ არის ფასი გაზრდილი. მსოფლიო ბაზარზე გაძვირდა ნავთობი. ბარელი ნავთობი 138 დოლარზე ავიდა. ამ პერიოდში ზოგიერთ იმპორტიორს მოუხდა საწვავის შესყიდვა და, შესაბამისად, დარჩა მაღალი ფასი. ახლა ეს საწვავი ამოიყიდება და უკვე აპრილიდან ველოდებით ფასის დასტაბილურებას, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ბარელის ფასი არ მიუახლოვდება 120 და 130-იან ნიშნულს. ახლა, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, ნავთობის ფასი 110-დოლარიან ნიშნულზეა გაჩერებული. ჯერჯერობით არ დგას იმის საშიშროება, რომ აპრილში იყოს მაღალი ფასი. თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მთავრობამ აუცილებლად, პირველი, რაც უნდა გააკეთოს, უნდა მოხსნას აქციზის გადასახადი, ასევე, დღგ-ც გაანახევროს, აიღოს სამთვიანი მორატორიუმი, რაიმე უნდა იღონოს, რომ ეს გაქცეული ფასები ჩამოსწიოს დაბლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა პროდუქტზე ფასი იქნება გაზრდილი, რაც ჩვენს მოსახლეობაზე ძალიან მტკივნეულად მოქმედებს. ფაქტობრივად, უკვე აღინიშნება, ადამიანი, რომელიც თუნდაც 2 თვის წინ 100 ლარით ყიდულობდა პროდუქტებს, დღეს იმის ნახევარსაც ვერ ყიდულობს. რეალურად ეს ინფლაციის მაჩვენებლებიც არარეალურია, ბევრად მეტად არის ფასები გაზრდილი, ვიდრე ამას სტატისტიკა აქვეყნებს.

***– ყოველდღიურად ღარიბდება მოსახლეობა, რეალობა ესაა.***

– რა თქმა უნდა, ასეა და, რამდენ ხანს გაუძლებს ამას ხალხი, ძნელი სათქმელია. მე ვფიქრობ, რომ ეს გაზაფხული იქნება ძალიან ძნელი გადასატანი, ყველა წინა გაზაფხულთან შედარებით, თუნდაც პანდემიის პერიოდი რომ ავიღოთ. ურთულესი გაზაფხული გვექნება, თუმცა მე კიდევ უფრო სხვა რამის მეშინია.

***– რისი, რა საფრთხეებს ხედავთ?***

– მე უკვე ვხედავ რეალურ საფრთხეებს. რამდენიმე რუსული კომპანია უკვე გადმომისამართდა საქართველოში და აპირებს, თავი აარიდოს იმ სანქციებს, რომლებიც რუსულ საქონელზეა დაწესებული. არ გამოვრიცხავ, რომ ქართველი ბიზნესმენები და მაღალი რანგის ჩინოვნიკებიც უკვე ჩაერთნენ ამ სქემაში.

***– ანუ საქართველო გამოყენებული იქნება, როგორც შავი ხვრელი?***

– დიახ, ასე იქნება. რუსული პროდუქცია შემოვა აქ და შემდეგ გადაიფუთება ისე, თითქოს წარმოებულია საქართველოში, რათა შემდეგ გავიდეს დასავლეთში.

***– ამ თემაზე უკვე ბევრი ექსპერტი საუბრობს, როგორც ჩანს, საფრთხე რეალურია და, დასავლეთმა ეს რომ გაგვიგოს, დამანგრეველი ეფექტი ექნება ჩვენი ეკონომიკისთვისო. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– რა თქმა უნდა, დასავლეთი ამას აუცილებლად მიხვდება და ან თვალს დახუჭავს, ან არა. ექსპორტი რომ ასე გაიზრდება, ხომ უნდა მიხვდე, რომ რაღაცაშია საქმე, თანაც იმ სასაქონლო კოდებით, რომლებიც აქამდე არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ვართ იმ საფრთხის წინაშე, რომ გარკვეულ სანქციებში ჩვენც არ მოგვაყოლონ.

***– როგორ უნდა მოხდეს ამ ყველაფრის აღკვეთა?***

– ამ შემთხვევაში კანონი უნდა მოქმედებდეს მკაცრად. თუ აქ ნედლეული შემოვა, აქ გადამუშავდება და ახალი საქონელი შეიქმნება, ეგ კანონით დაცულია. თუ კანონს დაიცავენ, რა თქმა უნდა, არაფერიც არ მოხდება. თუ უბრალოდ გადაიფუთება და გავა, ეს არღვევს კანონს. როგორც ხმები დადის, ყოვლისშემძლე ბიზნესმენები, რომლებიც მთავრობის ნავში არიან, უკვე ჩაერთნენ ამ მოლაპარაკებებში და აპირებენ, რომ საქართველო ეკონომიკურ ხვრელად გადააქციონ.

***– რა სახის პროდუქციაზეა საუბარი?***

– ეს საკვებს არ ეხება. შეიძლება იყოს საწვავი, ხე-ტყე. კონკრეტული დასახელებისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. ჯერ ასეთი ფაქტები არ დაფიქსირებულა, მაგრამ უახლოეს პერიოდში აუცილებლად დაიწყებს დაფიქსირებას.

***– არის კანონი, რომელიც ამას აღკვეთს?***

– კანონი არის, მაგრამ, იმუშავებს თუ არა, ეგ მეორე საკითხია. სავარაუდოდ, ალბათ ვერ იმუშავებს. ცდუნება დიდია და ალბათ ბიზნესმენები შეეცდებიან, აქედან მიიღონ სარგებელი.

***– როგორ? რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს არ შევუერთდით და ახლა რუსეთის ეკონომიკაზეც უნდა ვიზრუნოთ? მინიმუმ, უხერხულია ეს ყველაფერი. ამ შემთხვევაში რა პასუხს მივიღებთ დასავლეთისგან?***

– მსგავსი რამ თუ დაფიქსირდა და დასავლეთმა არ დახუჭა თვალი, მაშინ სანქციები არ აგვცდება! ამის რეალური საშიშროება დგას.

# „რუსეთი შედის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კოლაფსში“

## მირიან მირიანაშვილი: „გვეძლევა საშუალება, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აქტუალური გავხადოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

**რა განაჩენი შეიძლება გამოუტანონ რუსეთს საერთაშორისო სასამართლოებმა უკრაინასა და სხვაგან ჩადენილი დანაშაულებისათვის? როგორი კატასტროფა ემუქრება რუსეთის ფედერაციას მაისიდან? რა შანსები და რისკები უჩნდება საქართველოს? — ამ თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ მირიან მირიანაშვილს.**

***– მსოფლიოში გროვდება ხელმოწერები ახალი ტრიბუნალის შესაქმნელად. მან პუტინი და მისი გარემოცვა უნდა გაასამართლოს. ინიციატივა მომდინარეობს დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერების – გორდონ ბრაუნისა და ჯონ მეიჯორის მხრიდან. გარდა ამისა, რუსეთის მიერ უკრაინაში ჩადენილ ქმედებებზე მასალებს აგროვებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი. შესაბამისი მოსმენა გამართა გაეროს საერთაშორისო სასამართლომაც. რას უნდა ველოდოთ, გაასამართლებენ რუსეთის ხელისუფლებას?***

– ახალი ტრიბუნალის შექმნის იდეა, ფაქტობრივად, არის ნიურნბერგის ტრიბუნალის ფოტოსკოპირება. ამ ინიციატივით გამოვიდა ექსპრემიერი გორდონი. სხვებმა მას მხარი აუბეს. ნიურნბერგის მსგავსად შეიქმნა აგრეთვე ტოკიოს ტრიბუნალი, რომელმაც იაპონელი დამნაშავეები გაასამართლა. ჩამოყალიბდება თუ არა ახალი ტრიბუნალი, არ ვიცი. პუტინისა და მისი ქვეშევრდომების არაადამიანურ დანაშაულს უკვე იკვლევენ. საერთაშორისო სასამართლოების გარდა, ევროპის რამდენიმე სახელმწიფო (ყველა ცალ-ცალკე) იძიებს რუსეთის ქმედებებს. რუსეთი არ ჩერდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ დანაშაულს ახალ-ახალს უმატებს. რუსეთის ელიტას რომ განაჩენებს გამოუტანენ, ამაში ეჭვი არ მეპარება. უკრაინაში მან საზარელი დანაშაულები ჩაიდინა. სხვა საკითხია, პირადად წარდგებიან თუ არა დამნაშავეები სასამართლოს წინაშე. მე ის მაინტერესებს, როგორი კვალიფიკაცია მიეცემა ამ ყველაფერს.

***– დააკონკრეტეთ.***

– უკრაინის გარდა, რუსეთს სხვაგანაც ბევრი ცოდვა აქვს დატრიალებული. ჩვენ ეს საკუთარ თავზე გამოვცადეთ. საკითხავია, დაერქმევა თუ არა პუტინიზმს 21-ე საუკუნის ფაშიზმის სახელი. თუ ასე მოხდა, რუსებს დემონიზაცია არ ასცდებათ. უკვე ძალიან გაუტყდათ სახელი. ევროპაში რუსებს ღიად არ დევნიან, მაგრამ რუსული საუბარი უკვე ძალიან აღიზიანებთ.

***– ევროკავშირი ამზადებს მეხუთე სასანქციო პაკეტს რუსეთის წინააღმდეგ. პოლონეთი აპირებს, მოახდინოს თავის ქვეყანაში განთავსებული რუსეთის კუთვნილი ქონების, მათ შორის, ფინანსების (აქციების) კონფისკაცია. ამის პარალელურად ისმის, რომ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ რუსეთს ბევრი სანქცია მოეხსნება.***

– რუსეთს სანქციები არ მოეხსნება, პირიქით, მოემატება და გაუმკაცრდება. ძალიან დიდი დარტყმა იყო კრემლისათვის სავალუტო რეზერვებზე წვდომის დაკარგვა. ბოლო 20 წლის განმავლობაში რუსეთმა დააგროვა სავალუტო რეზერვები 680 მილიარდი დოლარის ოდენობით. აქედან 400 მილიარდი დასავლეთის ბანკებში ჰქონდა დაბინავებული. ეს 400 მილიარდი რუსეთს სანქციების შესაბამისად დაუყადაღეს. სავალუტო რეზერვის ნაწილი ოქროს სახით აქვთ შენახული რუსეთში, ნაწილი იუანებშია. რუსეთის პრობლემა იმაშიცაა, რომ სანქციები ოქროსაც ეხება და რუსები თავიანთ ოქროს სხვა ქვეყნებში ვალუტაზე ვერ ცვლიან. ამის მცდელობა ჰქონდათ. რუსულ ოქროს თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს და ადვილი საცნობია. მთავარი დარტყმები კრემლს მომავალში ელის.

> **„ჩვენ ან სრულად გამარჯვებული გამოვალთ ამ სიტუაციიდან, ან – სრულად დამარცხებული“**

***– როცა ევროპა რუსულ ნავთობზე უარს იტყვის?***

– ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის სანქციების მეხუთე პაკეტში, რომელიც კითხვაში ახსენეთ. რუსული ნავთობისა და გაზის შესყიდვა რუსეთიდან ევროპაში უკვე შემცირებულია. აპრილში დაკონტრაქტებულია რუსული ნავთობის ექსპორტის 30%. მაისში არაფერი არ არის დაკონტრაქტებული. ეს იმის ნიშანია, რომ მაისიდან რუსეთი მიიღებს ისეთ ტრავმებს, რომლებსაც ვერ მოიშუშებს.

***– ეკონომიკაში?***

– რუსეთი შედის მრავალმხრივ – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო– კოლაფსში. კულტურის სფეროც ჩამოეშალათ. კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები, მათ შორის, პრიმა-ბალერინები ქვეყნიდან გაიქცნენ. რუსეთი დგას თავისი დრამატული ხანის სტარტთან. სადაც სამხედრო შენაერთი ჰყავდა, ყველა უკრაინაში გადაისროლა. რუსეთის ტექნიკა და სამხედროები გავიდნენ ჩვენი ტერიტორიებიდან (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი), ასევე ყარაბაღიდან, ყირგიზეთიდან, ტაჯიკეთიდან.

***– ამან საქართველოს საზოგადოებაში იმედი გააჩინა.***

– ეს არ არის უსაფუძვლო იმედი. რუსეთის მრავალმხრივი კოლაფსების ფონზე ჩვენ გვეძლევა საშუალება, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აქტუალური გავხადოთ. შანსი გვეძლევა მთელ კავკასიას, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიას. აფხაზები და ოსები ნირწამხდრები არიან.

***– ნირის წახდენა ჯერ არ ეტყობათ.***

– არ იმჩნევენ. მათ გუნება-განწყობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. რუსეთის დამცრობა დაწყებულია და ის ვერ შეჩერდება. რუსული ფსბ და მისი „კრიშა“ ინგრევა. ამას პირდაპირ მოსდევს საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის შეცვლა.

***– საქართველოს პოლიტიკური სპექტრის უმრავლესობის რუსეთის სპეცსამსახურებზე დამოკიდებულების გამო?***

– ცხადია. ბევრჯერ მითქვამს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებზე იყვნენ (ალბათ, ჯერ კიდევ არიან) მიერთებული მთელი რიგი პარტიები საქართველოში (ფსევდოდასავლურებიც, პრორუსულებიც, ზომიერებიც და რადიკალურებიც). მათი სურკოვის მატრიცაზე მიბმა აღარ გამოვა. თუ ამ მატრიცის ქართველ პოლიტიკოსებს სჯერათ, რომ არაფერი შეიცვლება, ავად ყოფილან. საქართველო დგას სხვა რისკის წინაშე. წინა ინტერვიუში „ახალ თაობასთან“ ვთქვი, რომ აშშ არ აძალებს საქართველოს რუსეთთან ორმხრივ სანქციებთან მიერთებას.

***– ისიც თქვით, რომ თვალს ხუჭავს პრემიერ ღარიბაშვილის ნაკლებად კორექტულ განცხადებაზე სანქციების თაობაზე.***

– ჩვენი ინტერვიუს შემდეგ განცხადება გააკეთა აშშ-ის ელჩმა. მანაც აღნიშნა, რომ ორმხრივ სანქციებს საქართველოს არავინ ავალდებულებს, მაგრამ არსებობს საერთაშორისო სანქციები, სანქციების რეჟიმი.

***– რისკი იმაშია, რომ საქართველო შეიძლება გამოყენებულ იქნეს სანქციების გვერდის ავლაში?***

– საქართველოში არსებული ძველი და ახალი ფირმები შეიძლება გადააქციონ შავ ხვრელებად. ჩვენ არ შევქმენით სანქციების მონიტორინგის ორგანო.

***– როგორც ვიცი, ასეთი სტრუქტურები ევროპის ქვეყნებში შეიქმნა.***

– ყველა სახელმწიფომ შექმნა ორგანო სანქციების შესრულების მონიტორინგისათვის. მონიტორინგი რომ განახორციელო, ჯერ სანქციების ნუსხა უნდა გქონდეს და ის გამოაქვეყნო. როგორც ვხედავ, საქართველოს ხელისუფლება ამას არასერიოზულად ეკიდება და თვითონაც არ იცის, რა საერთაშორისო სანქციები მოქმედებს მთელ მსოფლიოში. გამოდის, რომ ბიზნესმენებმა, რომლებმაც არც კი იციან, რაზეა დაწესებული სანქცია, უნდა დაარღვიონ სასანქციო რეჟიმი. თუ საქართველომ ასე გააგრძელა, მოიმკის იმას, რაც დათესა. ასეთი დამოკიდებულების გამო პასუხი მოეთხოვებათ როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე სასანქციო რეჟიმის დამრღვევ ბიზნესმენებს. ხელისუფლებამ სანქციების სია უნდა ჩამოწეროს და გამოაქვეყნოს, ასევე უნდა შექმნას სანქციების მონიტორინგის სამსახური. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორი-სამი კვირის შემდეგ იქნება აშშ-ის ადმინისტრაციის შესაბამისი რეაქცია. ახლანდელი სიტუაცია შანსებსაც გვიჩენს და რისკებსაც. ჩვენ ან სრულად გამარჯვებული გამოვალთ ამ სიტუაციიდან, ან – სრულად დამარცხებული. არჩევანი ჩვენზეა.

# „ნაცებიდან რუსეთის სპეცსამსახურებთან ბევრი ურთიერთობს“

## დავით ლილუაშვილი: „სააკაშვილი იმყოფება იმ ვითარებაში, რომელსაც ითვალისწინებს კანონი პატიმრობის შესახებ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი დავით ლილუაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო დავით, რუსეთის უკრაინაში შეჭრის, ომისა და მსოფლიოში არსებული დაძაბულობის ფონზე, შიდადაძაბულობაც იზრდება. თქვენ ოპოზიციას აკრიტიკებთ. რატომ, იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რომელიც იქმნება ჩვენ ირგვლივ, საქართველოში ოპოზიცია შესაბამისად არ იქცევა?***

– ოპოზიცია იქცევა ისე, როგორც ყოველთვის.

***– როგორ?***

– უკრაინასა და ჩვენს რეგიონში განვითარებულ მოვლენებს თავიანთი მიზნებისა და გეგმებისთვის იყენებს. ისევ ტყუილები, ისევ სიცრუე და დეზინფორმაციის გავრცელება.

***– ამ სიტუაციაში რა ინტერესია?***

– მათ თავიანთი ინტერესები აქვთ და აქედან გამომდინარეა დესტრუქციული რიტორიკა, დესტრუქციული მოქმედებები. ასე ჩანს მათი აქტივობა.

***– ახლა დესტრუქცია რით გამოიხატება?***

– თუნდაც იმით, რომ ცდილობენ, საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობა დაძაბონ. უნდათ, საქართველოსა და პოლონეთს შორის დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდეს.

***– ამის რა ნიშნებს ხედავთ? უკრაინის ტელევიზიებში ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის ჩართვებს გულისხმობთ?***

– მოგეხსენებათ, საქართველოში ჩამობრძანდა პოლონეთის პრემიერ-მინისტრი. ამაზე გაკეთდა განცხადებები და სიუჟეტები, თითქოს პოლონეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას ემსახურებოდა. მან ეს საკითხი დააყენა და, მას შემდეგ, რაც უარი მიიღო, განაწყენებულმა ქვეყანა დემონსტრაციულად დატოვა, პროტოკოლით გათვალისწინებულ სადილსაც არ დაესწრო. საიდან იგონებენ ასეთ ტყუილებს, რომლებიც საქართველოსა და პოლონეთის ურთიერთობებს ხელს არ შეუწყობს? სწორედ ეს არის აღმაშფოთებელი.

არც მალავენ, რომ მათ სურთ კონფლიქტის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანა. მათი მოქმედებები მიმართულია არეულობების, ქაოსისა და უბედურების გამოწვევისკენ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

სხვათა შორის, ნაცები რუსეთთან ურთიერთობის გათვალისწინებითაც არ იტყვიან უარს საქართველოს ხელისუფლების ჩამოგდებაზე. სხვას არაფერს დაეძებენ, ოღონდ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ამას წლების განმავლობაში ცდილობდნენ.

***– ხელისუფლების ძალადობრივ ჩამოგდებას გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა. ხელისუფლების ჩამოგდება რევოლუციის გზით იქნება თუ ამას ჩვენი ქვეყნის მტერი, რუსეთი, გააკეთებს, მათთვის დიდი სხვაობა არ არის. მთავარია, შემდეგ მათ ხელისუფლებაში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცეთ.

ნაცები ძალაუფლების დასაბრუნებლად რუსეთთან ურთიერთობის გათვალისწინებითაც საქართველოს ხელისუფლების ჩამოგდებაზე უარს არ იტყვიან. ეს თვეების განმავლობაში ჩანს.

***– რა გარანტიაა, რომ არსებული ხელისუფლების ჩამოგდების შემთხვევაში რუსეთი ხელისუფლებაში ნაცმოძრაობას დასვამს? რატომ უნდა დასვას რუსეთმა ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში?***

– მიხეილ სააკაშვილის გარემოცვაში ნაცმოძრაობას ჰყავს ისეთი პიროვნება, რომელიც რუსეთთან და მის სპეცსამსახურებთან ურთიერთობს და თანამშრომლობს.

***– ვის გულისხმობთ?***

– სააკაშვილის ბიძას, თემურ ალასანიას, რომელიც გარკვეული პერიოდის წინ საქართველოში ჩამოსული იყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. არ არის გამორიცხული, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ ის რევოლუციას ვერ მოახდენდა, გეგმა „ბ“ აემოქმედებინათ. რუსეთი ნაცებთან სააკაშვილის ბიძის მეშვეობით თანამშრომლობს. ნაცები ცდილობენ, საქართველოში უბედურება დაატრიალონ, რომ შემდეგ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

***– მეგონა, ნაყოფიას გულისხმობდით, რომელსაც რუსეთში ბიზნესი აქვს. მისი შვილიც რუსეთის მოქალაქეა და იქ ცხოვრობს.***

– ნაყოფიასაც ვგულისხმობ, რომელიც არ ღალატობს თავის ბიზნესინტერესებს რუსეთში და თავისი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ნაცებს სხვა მრავალი პიროვნება ჰყავთ, რომლებიც ძალიან კარგად ურთიერთობენ რუსეთთან და რუსეთის სპეცსამსახურებთან.

***– პროდასავლური ძალა რუსეთთან თანამშრომლობს? მაშინ, საზოგადოება რატომ იღებს მათ, როგორც პროდასავლურ ძალას?***

– როგორ შეიძლება, ნაცმოძრაობა პროდასავლურ ძალად იქნეს აღქმული? მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ევროპული ფასეულობები და ღირებულებები ფეხქვეშ გათელილიყო. ევროპულ ძალას არ უნდა ჩაედინა ის დანაშაულები, რომლებიც ჩაიდინეს.

ქუჩებში, აქციებზე ადამიანები არ უნდა დაეხოცათ, უნდა გაეთვალისწინებინათ ის მოთხოვნები, რომლებიც ადამიანებს აქციებზე ჰქონდათ, მათზე ძალადობა არ უნდა განეხორციელებინათ 7 ნოემბერს, 26 მაისსა და სხვა დღეებში. არ შეიძლება, ევროპულად აღვიქვათ ის ძალა, რომელიც, იმყოფება რა ოპოზიციაში (სამართლიანად შეცვალა ისინი ამომრჩეველმა), პერმანენტულად ცდილობს ხელისუფლების ძალადობრივ შეცვლას.

***– ოპოზიციას იუსტიციის მინისტრის მიწვევა ჰქონდა განზრახული ინტერპელაციის წესით, თუმცა არ გამოვიდა. მგონი, მათ ციხეებში არსებული მდგომარეობა აინტერესებდათ. ალბათ, სააკაშვილზეც იქნებოდა კითხვები. თქვენ, როგორც უფლებადამცველს, გექნებათ ინფორმაცია, რა ხდება ციხეებში. ხომ არ არის ციხეებში რამე დარღვევები, შენიშვნა გაქვთ? სააკაშვილი როგორ პირობებში იმყოფება?***

– სააკაშვილი იმყოფება იმ ვითარებაში, რომელსაც ითვალისწინებს კანონი პატიმრობის შესახებ. კანონი პატიმრობის შესახებ ყველა პატიმარს იცავს. ციხეში რაიმე აღმაშფოთებელი მდგომარეობა რომ იყოს, თუნდაც ისეთი, როგორიც სააკაშვილის მმართველობის პირობებში, ნაციონალების დროს იყო, პირველ რიგში ნაციონალები აყვირდებოდნენ. ცხადია, ისეთი მდგომარეობა არ არის. ციხეებში დარღვევები რომ იყოს, ნაცების ტელევიზიებითა და სამსახურებით საზოგადოება ოპერატიულად გაიგებდა.

## პირები, რომლებიც „მთავარის“ გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ, სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა

რადიკალური დაჯგუფების წევრები, რომლებიც ზუგდიდში „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ, ზუგდიდის სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა.

მოძალადეებმა ჟურნალისტსა და ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა რამდენიმე წინ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიაყენეს.

ემა გოგოხიასა და ზვიად აბლოთიას სხეულის დაზიანებები აქვთ. დამტვრეულია კამერაც. მომხდარიდან რამდენიმე დღე გავიდა, თუმცა საგამოძიებო უწყებებს სათვალთვალო კამერების ჩანაწერები არ ამოუღიათ.

იურისტები ამბობენ, რომ სახეზეა ხელისუფლების მიერ წახალისებული და წაქეზებული ძალადობა. ისინი 5 ივლისის მოვლენებს იხსენებენ. მათი თქმით, ხელისუფლებამ ვერ გამოიტანა დასკვნა, რომ არ შეიძლება, მსგავსი ქმედებები წაახალისო.

ცნობისთვის, ზუგდიდში ფიზიკურად გაუსწორდნენ „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფს.

მომხდარზე გამოძიება ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის მუხლით დაიწყო. დაკავებული იყო 4 პირი.

## 82 წლის ქალის განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ ნიკო ნიაურს პატიმრობა შეეფარდა

82 წლის ქალის ანგარებით განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ ნათესავს, ნიკო ნიაურს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით კურტანიძემ გამოაცხადა.

დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე დაკავებულისთვის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახეს – პატიმრობას ითხოვდა.

როგორც საქმის პროკურორი ლევან ვეფხვაძე სასამართლო პროცესზე აცხადებდა, ბრალდებულის მხრიდან მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე არსებობდა.

დაცვის მხარე ნიაურის 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ნიკო ნიაურმა ანგარებით განზრახ მკვლელობა ჩაიდინა, მან ნათესავი, 82 წლის ქალი, ჯერ ბასრი საგნით მოკლა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით ცხედარს ცეცხლი მოუკიდა.

მკვლელობის ჩადენის შემდეგ ნიაურმა ბინიდან ტელევიზორი წაიღო და ლომბარდში ჩაბარებას შეეცადა, თუმცა ვერ შეძლო.

სწორედ ამის შემდეგ დაბრუნდა ის შემთხვევის ადგილზე და ცხედარს ცეცხლი მოუკიდა.

## ბათუმში 15 ავტომობილი გაქურდეს

ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლების ეზოში, 15 ავტომობილი გაქურდეს. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. ავტომობილებს მინები აქვს ჩამსხვრეული. მეპატრონეების თქმით, წაღებულია ძირითადად თანხები და მანქანაში არსებული წვრილმანი ნივთები. საცხოვრებელი კორპუსების ეზოში თავად მაცხოვრებლებს ვიდეო კამერები აქვთ დამონტაჟებული. კამერის ჩანაწერში ჩანან პირები, რომლებიც, სავარაუდოდ, არასრულწლოვნები არიან.

## ზუგდიდში ავარიას 1 ადამიანი ემსხვერპლა

ზუგდიდში ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა – ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა, რასაც აფეთქება მოჰყვა. ერთ-ერთ მანქანაში ახალგაზრდების ჯგუფი იჯდა, რომლებიც დაბადების დღიდან ბრუნდებოდნენ. ავარია პუშკინის ქუჩაზე მოხდა.

# სამეგრელოში გოგონას გაუპატიურებისთვის დაკავებულ მამა-შვილს 20-20 წელი მიესაჯა

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, არასრულწლოვნის გაუპატიურებისა და არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისთვის ბრალდებულ მამა-შვილს 20-20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

პროკურატურის ინფორმაციით, სენაკის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ბ.გ. და ზ.გ. წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, გაუპატიურების ფაქტზე დამნაშავედ ცნო.

ასევე, ზ.გ. დამნაშავედ იქნა ცნობილი წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ძალადობით, ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ფაქტზე.

„პროკურატურის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2020 წლიდან 2021 წლის 21 ივნისის ჩათვლით, ბ.გ.-მ და ზ.გ.-მ დაზარალებულის ასაკის გამო მისი უმწეობის გამოყენებით, 8 წლის გოგონა რამდენჯერმე გააუპატიურეს. ასევე დადგინდა, რომ 2018 წლის 21 იანვარს, ზ.გ.-მ დაზარალებულის ასაკის გამო უმწეობის გამოყენებით, ძალადობით 9 წლის გოგონას მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩაიდინა. ბ.გ. და ზ.გ. დაზარალებულ არასრულწლოვნებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ, თუ ისინი მომხდარის შესახებ ვინმეს მოუყვებოდნენ.

სენაკის რაიონულმა სასამართლომ ბ.გ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (გაუპატიურება, ჩადენილი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ) (ორი ეპიზოდი) და 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სასამართლოს მიერ ზ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (გაუპატიურება, ჩადენილი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ) (სამი ეპიზოდი), სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩადენილი ძალადობით, დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირთან) და 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

საქართველოს პროკურატურა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## „არაფერი დამიშავდა ამ უკანონობით“

### რატომ დააკავეს ადვოკატი მამულაშვილი

„არაფერი დამიშავდა დღევანდელი უკანონობით!“ – პოლიციამ 20 მარტს ადვოკატი ვასილ მამულაშვილი დააკავა.

შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ადვოკატი დაცვის ქვეშ მყოფთან ერთად საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობდა.

მამულაშვილმა პოლიციელების მხრიდან დარღვევა შენიშნა და მათ შენიშვნა მისცა, საპასუხოდ შსს-ს თანამშრომლები გაღიზიანდნენ და ადვოკატი დააკავეს.

ვასილ მამულაშვილი პოლიციის განყოფილებაში გადაყვანიდან მალევე ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.

საქმე მის წინააღმდეგ წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის მოთხოვნის დაუმორჩილებლობის მუხლით აღიძრა.

– მე არაფერი არ დამიშავდა, იმიტომ, რომ დღეს ჩემ გვერდით სიტყვითა და საქმით იყვნენ ჩემი კოლეგა ადვოკატები, ჟურნალისტები, მეგობრები, ნაცნობები... და დიდი მადლობა მათ!

– მე არაფერი არ დამიშავდა დღევანდელი უკანონობით! იმიტომ, რომ თუ ფიქრობენ, რომ დაკავება ერთადერთი გზაა ჩვენი გაჩერებისთვის, დაე, დაგვაკავონ, მაგრამ აი! ჩვენ უკვე გარეთ ვართ. ჩვენ, დაგვიშავდებოდა იმ შემთხვევაში, თუ 15 წლის არასრულწლოვანს, რომელსაც ჩვენი დახმარება სჭირდებოდა, დაცვის გარეშე დავტოვებდით, აღიარებას ვაიძულებდით!

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დარღვევის აღმნიშვნელ შენიშვნას არ შევიტანდით ოქმებზე!

საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდგომ ვინმეს თანხმობას დაველოდებოდით პოლიციის შენობის დასატოვებლად!

პოლიციის მოთხოვნით მივიღებდით იმ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას, რომლებში მონაწილეობა პირის უფლებაა.. და არა ვალდებულება. სწორედ.. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო მოხდა ის, რაც მოხდა!

კარგი ამბავიც მაქვს. ჩემი დაკავების შემდეგ საერთოდ დაავიწყდათ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც ბრალდების წარდგენა და დაკავება ჰქონდათ დაგეგმილი (ასე ამბობდნენ. ცხადია, ამ გეგმებსაც არ გააჩნდა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები). მოლოდინი? – დღევანდელი დღის შემოქმედ ყველა პოლიციელს, იმედი მაქვს, მათი ქცევის ტოლფასი პასუხისმგებლობა დაეკისრება, რისთვისაც მე, თქვენთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებ!“ – წერს ადვოკატი მამულაშვილი ფეისბუქში.

## პროკურატურამ „ფორმულას“ ჟურნალისტისა და ოპერატორების ცემისთვის დაკავებულს ბრალი წარუდგინა

### დავით ველიჯანაშვილს პატიმრობა მიესაჯა

საქართველოს პროკურატურამ ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტისა და ოპერატორებისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და დევნის ფაქტზე დაკავებულს ბრალი წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 17 მარტს, დაახლოებით, 19:00 საათზე, ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი ნ.ჩ., შპს „დროება მედია ჯგუფის“ ოპერატორი ა.ნ. და ვიდეოოპერატორის თანაშემწე გ.ც ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის, კერძოდ, რესპონდენტთან ინტერვიუს ჩაწერის მიზნით იმყოფებოდნენ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბარში.

ტელეკომპანია „ფორმულაში“ მუშაობის გამო ჟურნალისტების მიმართ უკმაყოფილება გამოხატა ბარში მყოფმა დავით ველიჯანაშვილმა, რომელმაც შეურაცხმყოფელი შეძახილით, გინებით, ფიზიკური ანგარიშსწორებისა და გასროლის მუქარით სამივე ჟურნალისტისგან მოითხოვა პროფესიული საქმიანობის, კერძოდ, ინტერვიუს ჩაწერის შეწყვეტა და ბარის დატოვება. მუქარისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის პარალელურად, დ.ვ.-მ სამივე ჟურნალისტს მიაყენა ფიზიკური დაზიანებები.

დ.ვ.-მ ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ტელეკომპანია „ფორმულასა“ და მისი ჟურნალისტების მიმართ ნეგატიური შეხედულების გამო განახორციელა მათი დევნა პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით და ხელი შეუშალა ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

პროკურატურის ინფორმაციით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დ.ვ. 18 მარტს დააკავეს. მას ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ დავით ველიჯანაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მიუსაჯა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურა ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ატარებს.

## გენერალურ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განხორციელებული რეფორმის შედეგად და საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, გენერალური პროკურორის ბრძანებით, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს. უწყების ცნობით, პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო 2012 წლიდან ფუნქციონირებდა.

„სამართალდამცავ ორგანოებში ადამიანის უფლებების გაძლიერების, ასევე საერთაშორისო ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანად აღსრულების, საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების ჯეროვნად შესრულების, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით პროკურორთა საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გადაწყდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს გაძლიერება და დეპარტამენტად გარდაქმნა.

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მჭიდროდ ითანამშრომლებს ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე, საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამასთან, მოხდება მათი რეკომენდაციების შესწავლა და სათანადო რეაგირება.

გარდა ამისა, დეპარტამენტის ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული სტრატეგიის, სამოქმედო გეგმებისა და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვა და განხორციელება, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ეფექტიანი აღსრულება; ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს პროკურატურის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ინსტიტუციურად დამოუკიდებელი, ძლიერი და მიუკერძოებელი უწყების რეფორმირების პროცესში“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## თბილისში სანაპიროზე ავტობუსი მსუბუქ მანქანას დაეჯახა

გუშინ, 21 მარტს, თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ერთმანეთს სამგზავრო ავტობუსი და მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქ-

მეთა სამინისტროში განუცხადეს, დაშავებულია 2 ადამიანი. მათივე განმარტებით, გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ან უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. მომხდარის გამო სანაპიროზე შეფერხებული იყო ავტომანქანების მოძრაობა.

# „რუსული გემებისთვის ყველა პორტი დაკეტეთ“

## პრეზიდენტმა ზელენსკიმ გერმანიას მიმართა

– მხარი დაგვიჭირეთ, რადგან თქვენი სიცოცხლე ჩვენზეა დამოკიდებული. ნუ აფინანსებთ ოკუპანტს. გევედრებით, ნუ აფინანსებთ რუსეთის სამხედრო მანქანას.

ამ სიტყვებით მიმართა პრეზიდენტმა ზელენსკიმ გერმანიასა და გერმანიის მოქალაქეებს და რუსული გემებისთვის ყველა პორტის დაკეტვა მოითხოვა.

– თქვენი კომპანიებისა და ბანკების გარეშე რუსეთში ფული აღარ იქნება. თქვენ ვალდებული ხართ, ადამიანები დაიცვათ. როდესაც მოსკოვმა გერმანიისთვის გაზის მიწოდებასა და მასზე ფასის დაწესებაზე მსჯელობა დაიწყო, თქვენი პოლიტიკოსები მოსალოდნელ საფრთხეებზე გავაფრთხილე. სანქციების აუცილებლობაზე ხმამაღლა ვსაუბრობდი. ევროპელები მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ უკრაინელების მოსმენა აუცილებელია, როდესაც ნატოს საზღვრიდან 20 კილომეტრში რუსული ბომბი ჩამოვარდა და როდესაც ოკუპანტებმა ევროპის უდიდეს ატომურ ელექტროსადგურს ცეცხლი გაუხსნეს.

მხარი დაგვიჭირეთ, რადგან თქვენი სიცოცხლე ჩვენზეა დამოკიდებული. ნუ აფინანსებთ ოკუპანტს. გევედრებით, ნუ აფინანსებთ რუსეთის სამხედრო მანქანას, რუსული გემებისთვის ყველა პორტი დაკეტეთ, არ მიიღოთ რუსული საქონელი, უარი თქვით რუსულ ენერგორესურსებზე, მოუწოდეთ, რომ უკრაინის ტერიტორია დატოვონ.

იმოქმედეთ იმისთვის, რომ ჩვენი ქუჩები ისევ უსაფრთხო გახდეს. იმოქმედეთ იმისთვის, რომ ბავშვების კისკისი მოვისმინოთ და მათი ღიმილიანი სახეები დავინახოთ. დაგვეხმარეთ, რომ ბავშვებმა თავშესაფარში არ ითამაშონ. გვერდზე დაგვიდექით, რომ ეს განგაშის ხმა საბოლოოდ გამოვრთოთ. დაგვეხმარეთ, რომ კიევი ისევ გახდეს ახალი ბერლინი, – თქვა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მიმართვისას.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიდეომიმართვისას გერმანიის მოქალაქეებს განგაშის სიგნალის ხმაც მოასმენინა.

# ჯო ბაიდენი პოლონეთში ჩავა



აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი პარასკევს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ჩავა. ამის შესახებ თეთრი სახლი პრესსპიკერმა ჯენ ფსაკიმ განაცხადა.

მისი თქმით, ვიზიტის ფარგლებში ჯო ბაიდენი პოლონელ კოლეგას, ანჯეი დუდას, შეხვდება.

– პრეზიდენტი განიხილავს იმას, თუ როგორ რეაგირებს შეერთებული შტატები, ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ერთად, ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებათა კრიზისზე, რომელიც რუსეთის გაუმართლებელმა და არაპროვოცირებულმა ომმა შექმნა, – განაცხადა ფსაკიმ.

ცნობისათვის, პოლონეთში ჩასვლამდე ჯო ბაიდენი ბრიუსელს ეწვევა, სადაც ნატოს მოკავშირეებს, „დიდი შვიდეულისა“ და ევროკავშირის ლიდერებს შეხვდება.

# რუსმა ოლიგარქმა ტიმჩენკომ ნოვატეკის საბჭო დატოვა

რუსმა ოლიგარქმა და ბიზნესმენმა გენადი ტიმჩენკომ გაზის მომპოვებელი კომპანია „ნოვატეკის“ საბჭო დატოვა.

ამის შესახებ ინფორმაციას როიტერი ავრცელებს.

საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, „ნოვატეკში“, რომელიც რუსეთში ბუნებრივი გაზის მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანიაა, გენადი ტიმჩენკოს გადადგომის მიზეზებს არ ასახელებენ.

ცნობილია, რომ ტიმჩენკო ამერიკის შეერთებული შტატების სასანქციო სიაში 2014 წელს მოსკოვის მიერ ყირიმის ანექსიის გამო მოხვდა.

24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო მას სანქციები ევროკავშირმა და გაერთიანებულმა სამეფომაც დაუწესეს.

ფორბსის თანახმად, გენადი ტიმჩენკო, გასული წლის მონაცემებით, რუს ოლიგარქებს შორის მეექვსე ადგილს იკავებდა, 22 მილიარდი დოლარის ოდენობის ქონებით.

# კიევში ორდღიანი კომენდანტის საათი გამოცხადდა

კიევში კომენდანტის საათი ისევ იმოქმედებს – ამის შესახებ ინფორმაციას კიევის მერი ავრცელებს.

ვიტალი კლიჩკოს განცხადებით, კომენდანტის საათი 21 მარტს, საღამოს 20:00 საათზე დაიწყება და 23 მარტის დილის 07:00 საათამდე გაგრძელდება.

– ხვალ არ იმუშავებს მაღაზიები, აფთიაქები, ბენზინგასამართი სადგურები, დაწესებულებები. ამიტომ, ყველას ვთხოვ, დარჩეს სახლში ან თავშესაფრებში განგაშის სიგნალის შემდეგ. ქალაქში გადაადგილება მხოლოდ სპეციალური საშვი მანქანებით იქნება, – გააფრთხილა მან მოქალაქეები.

# ბექჰემმა პირადი სოცქსელები ხარკოველ ექიმს გადასცა



ინგლისელი ფეხბურთელის, დევიდ ბექჰემის, თქმით, თავის სოციალურ ქსელებს ხარკოველ ქალს, რეგიონული პერინატალური ცენტრის ხელმძღვანელს გადასცემს, რომელიც უკრაინიდან ამბებს გააზიარებს.

– მე გადავცემ ჩემს სოციალურ ქსელებს ირინას, რეგიონული პერინატალური ცენტრის ხელმძღვანელს ხარკოვში, უკრაინაში, სადაც ის ეხმარება დედებს მშობიარობაში.

გადახედეთ ჩემს სთორებს, რომ გაიგოთ მეტი იმ საოცარი სამუშაოს შესახებ, რომელსაც ირინა და სხვა ჯანდაცვის მუშაკები ასრულებენ უკრაინაში სიცოცხლის გადასარჩენად, – ამბობს ბექჰემი.

# უკრაინამ ოდესის სანაპიროსთან რუსეთის სამხედრო გემი გაანადგურა

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ოდესის სანაპიროს, სულ მცირე, 4 რუსული სამხედრო გემი მიადგა.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსები მსხვილკალიბრიან იარაღს იყენებენ. დაფიქსირდა ასევე რამდენიმე საარტილერიო გასროლა. უკრაინამ რუსეთის 1 სამხედრო გემი გაანადგურა.

# ჩინეთში სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა

ჩინეთის სამხრეთ ნაწილში მთებში სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა.

ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

„ჩაინა ისთერნ ეარლაინსის“ ბოინგ 737-ში 133 მგზავრი იყო. ის ქალაქ კუნმინგიდან გუანჯოუში მიფრინავდა.

ადგილობრივი მედია გარდაცვლილთა და დაშავებულთა შესახებ ინფორმაციას ჯერ არ ავრცელებს.

ასევე, ჯერ არ სახელდება ავიაკატასტროფის გამომწვევი შესაძლო მიზეზი.

ის გუშინ, 21 მარტს, ქალაქ კუნმინგიდან თბილისის დროით 09:11 საათზე გაფრინდა. მისი დაფიქსირება ბოლოს თბილისის დროით 10:22 საათზე 980 მეტრის სიმაღლეზე მოხდა. თვითმფრინავი თითქმის 700 კმ/სთ სიჩქარით გადაადგილდებოდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# საქართველო რაგბი ევროპის ჩემპიონია

საქართველო-ესპანეთი 49:15

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „დინამო არენაზე“ ესპანეთი ლამაზ სტილში, 49:15 დაამარცხა და 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

„ბორჯღალოსნებმა“ მეტოქეს 6 ლელო გაუტანეს და 2 მიიღეს, რითაც ბონუს ქულაც მოიპოვეს. თუმცა, ეს არაფერს წყვეტდა – ნებისმიერი ფორმით მოგება საქართველოს აძლევდა ხელს.

წელს ისე მოხდა, რომ ტურნირის დასკვნით მატჩს საქართველო მე-2 ადგილით შეხვდა, მაგრამ ფაქტობრივ ფინალში მეტოქეს კითხვის ნიშნების გარეშე სძლია.

საქართველომ რაგბი ევროპის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეხუთედ, სულ კი მეთოთხმეტედ მოიპოვა. სანდრო თოდუასთვის ეს მე-11 ჩემპიონობაა და ამ მაჩვენებლით დავით კაჭარავას გაუტოლდა, შალვა მამუკაშვილმა და ლაშა ხმალაძემ კი, ჯილდო მეათედ შემართეს.

ესპანელებს 2 ლელო გაუტანა აკა ტაბუცაძემ და 19 თამაშში 18 მოუგროვდა. ამ უნიკალური მაჩვენებლით, ის მახო ურჯიკაშვილს გაუტოლდა და საუკეთესო მელელოვეთა შორის მე-5 ადგილზე გადაინაცვლა.

ცუდი ტაროსის მიუხედავად, „დინამო არენას“ გაზონი იდეალურ ფორმაში იყო, რამაც ბორჯღალოსნებს ხელდახელ თამაშის და ლამაზი ლელოების გატანის შესაძლებლობა მისცა. თოვლნარევ წვიმას არც უშუალოდ მატჩის მსვლელობისას გადაუღია, მაგრამ სანახაობისთვის ხელი არც ამას შეუშლია. ერთადერთი ის იყო, რომ ტრიბუნებზე სასურველი ოდენობის მაყურებელმა ვერ მოიყარა თავი, მაგრამ ვინც მივიდა, მათ საყვარელი გუნდის ქომაგობა არ დაიშურა და კარგი სანახაობითაც ისიამოვნა.

თამაში საქართველოს შეტევებით დაიწყო და ვასილ ლობჟანიძის ფეხით შეცურებულ ბურთს მერაბ შარიქაძე მიყვა, მაგრამ ოვალმა კიდითი ხაზი გადაკვეთა. სამაგიეროდ, ესპანეთმა თამაში განაახლა თუ არა, მატჩის საუკეთესო მოთამაშემ ვასილ ლობჟანიძემ კარის წინიდან არეკნი დაჰკრა და ფეხით პირველი სანაკრებო ქულები მოიპოვა. ესპანეთმა მალევე გვიპასუხა და მანუელ ორდამ ჯარიმით წონასწორობა აღადგინა. ამას ფეხით თამაში მოჰყვა, რაშიც საქართველო გამარჯვებული დარჩა, დერეფნიდან შეტევის შემდეგ კი თედო აბჟანდაძემ ჯარიმით ლიდერობა დაგვიბრუნა.

იქვე ცენტრიდან დარტყმული პირველი ბურთი ვერ ავიღეთ, წნეხში მოვექეცით და 24-ე წუთზე ჯორდი ხორბამ შეხვედრის პირველი ლელო გაიტანა. კიდიდან შესრულებული გარდასახვა არაზუსტი იყო. სტუმრებმა უპირატესობა სულ რაღაც 2 წუთით შეინარჩუნეს. თამაში რომ განახლდა, საქართველომ მეტოქის 22-თან ბურთი მოიპოვა, ლობჟანიძემ სივრცე შენიშნა, კარის წინ ხაზი გაჭრა და დაახლოებით 15-20 მეტრი ირბინა. ამას 5-მეტრიან წყვეტილთან 3 დარტყმა მოჰყვა, რის შემდეგაც ბურთი გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩათამაშდა, სადაც თავის შანსს ტაბუცაძე ელოდა. აბჟანდაძემ გარდასახა.

ტაიმის დასკვნითმა წუთებმა საქართველოს შეტევებში ჩაიარა, 34-ე წუთზე 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი დადგა, რომელშიც ხაზის მოთამაშეებიც ჩაერთვნენ და სტუმართა დიდი ძალისხმევის მიუხედავად ოთარ გიორგაძის ლელოთი დასრულდა. ტაიმის ბოლოს კიდევ ერთი ლელოს გატანის შანსი გაჩნდა, როდესაც დავით ნინიაშვილმა ხაზი გაჭრა, რომელსაც აბჟანდაძე და გიორგი კვესელაძე მიჰყვნენ, მაგრამ ეს იერიში უქულოდ დასრულდა – 18:8.

მე-2 ტაიმის საწყის 10 წუთში ბევრი შეცდომა დავუშვით, ხშირად ვჯარიმდებოდით, რითაც ესპანეთმა ისარგებლა, 5-მეტრიანი დერეფნის შემდეგ თავისი მე-2 ლელო გაიტანა, გარდასახვაც ზუსტი იყო და სხვაობა 3 ქულამდე დავიდა. ეს იყო სტუმართა ბოლო შედეგიანი შეტევა მატჩში. დარჩენილმა 30-მა წუთმა სრულად საქართველოს დომინირებით ჩაიარა და შედეგიც შესაბამისი დადგა.

54-ე წუთზე დერეფნიდან ბურთი ხაზში სწრაფად გავიდა და კარგი კომბინაციის შედეგად დაახლოებით 20 მეტრი მოვიგეთ, ესპანეთი კარის წინ 5 მეტრში დაჯარიმდა და რადგან სხვაობა მცირე იყო, აბჟანდაძემ 100%-იანი 3 ქულა ჩაიწერა. 62-ე წუთზე სტუმრებს მოლით შევუტიეთ, რომელიც ესპანელებმა ჯარიმის ხარჯზე შეაჩერეს, ლობჟანიძემ უპირატესობაზე თავად შეუტია, 2 მცველი აიყვანა, სივრცეში შესულ კაპიტანს პასი არ დაუგვიანა და მერაბ შარიქაძემ ლელო ძელებშუა გაიტანა.

მალე მორიგი ლელო გავიდა და ისიც

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# მერაბ კოკოჩაშვილი 87 წლისაა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლება მოახდინა:

– კარგი ბიჭია, – თქვა ძია მიშამ, ხელში ამიტაცა და მომეფერა. მახსოვს, მის ღიტინზე ბევრი ვიცინე.

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. მაშინ 6 წლის ვიყავი. მიხეილ ჭიაურელი „გიორგი საკაძეს“ იღებდა. მან პატარა პაატას როლზე დამამტკიცა. არ ვიცი, ამ როლის სინჯებისთვის მე რატომ მიმიყვანეს. შეიძლება, იმიტომ, რომ ჩემი ოჯახი თეატრთან ახლოს იყო და მსახიობების გარკვეული წრე გვიცნობდა.

ჩემთვის გადასაღებ მოედანზე საინტერესო იყო არა მიხეილ ჭიაურელი ან ვერიკო ანჯაფარიძე, ან თუნდაც აკაკი ხორავა, არამედ ის, რაც ბავშვს ყველაზე მეტად შეიძლება აინტერესებდეს – ცხენები, აბჯარი, ხმალი. მეც მქონდა პატარა ხმალი და ფარიკაობასაც მასწავლიდნენ, რადგან ერთ-ერთი ეპიზოდისთვის მჭირდებოდა. ალბათ გახსოვთ ერთი სცენა ფილმში, სადაც პაატა და ავთანდილი შაჰ-აბასს ეფარიკავებიან. პატარა ავთანდილის როლს გუგული მგელაძე თამაშობდა, შაჰ-აბასს – აკაკი ვასაძე. აკაკი ხორავა ხანდახან ცხენზე შემსვამდა და გამატარ-გამომატარებდა ხოლმე. მისი ბოხი ხმის ცოტა მეშინოდა კიდეც. ასე რომ, ბავშვისთვის იქ ბევრი რამ იყო შთამბეჭდავი. ყველა მეფერებოდა, თბილად მექცეოდნენ.

– ყოჩაღ, კარგად გააკეთე, – ძია მიშა ხშირად მაქებდა.

ერთ მშვენიერ დღეს მითხრეს:

– აბა, მოდი, დაჯექი, შენი ქანდაკება უნდა გავაკეთოთ.

მეც დავემორჩილე.

– რაში გჭირდებათ ჩემი ქანდაკება? – ვიკითხე ბავშვური ცნობისმოყვარეობით.

– შენ რა, არ იცი, რა მოხდება? – მკითხა მოქანდაკემ, თანაც ისე, რომ მუშაობა არ შეუწყვეტია, – შენ თავი უნდა მოგაჭრან, – განაგრძო ლაპარაკი, – შენს თავს გამოვაქანდაკებთ, მერე ყუთში ჩავდებთ, შემდეგ კი ამას პაატას მამას გაუგზავნიან.

წარმოიდგინეთ, ამ ამბავს 6 წლის ბავშვს მიყვებოდა. მეც გაოცებული ვუსმენდი.

– შენ რა, არ იცი ის ამბავი, რომ პაატას თავი ქართლში, ერთაწმინდაშია დაკრძალული? – მოქანდაკე მიყვებოდა გიორგი საკაძის ოჯახის ტრაგიკულ ისტორიას და თან ჩემს ქანდაკებას ძერწავდა.

შევწუხდი, თანაც აკაკი ვასაძის გმირის – შაჰ-აბასის მეშინოდა. მას რაღაცნაირი გაწკეპილი ულვაში ჰქონდა და თვალებს მრისხანედ აბრიალებდა.

– არ ინერვიულო, ეს კინოა, – ხშირად კი მამშვიდებდა ძია მიშა, მაგრამ მე მაინც განვიცდიდი.

იმ სცენის გადაღებისას, სადაც პატარა პაატა ისრებს ამტვრევს, განსაკუთრებულად მეშინოდა, რადგან ვიცოდი, რომ შაჰ-აბასი მალე თავს მომკვეთდა....

პ.ს. ამჟამად მერაბ კოკოჩაშვილი თავის ერთ-ერთ ბოლო ფილმ „ტერცო მონდოზე“ მუშაობს, რომლის გადაღებებიც დასასრულს უახლოვდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ბითაძე და შენგელია ყოჩაღობენ

გოგა ბითაძემ და ინდიანა პეისერსმა მორიგი მატჩი ითამაშეს, რომელშიც მეტოქე 129:98 გაანადგურა, რაშიც თავისი წილი საქართველოს ნაკრების ცენტრმაც დაიდო.

ბითაძემ მოედანზე 24 წუთი გაატარა და 12 ქულა, 2 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. გოგამ 9-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი კი ააცილა. ჩვენებურის პასივში მხოლოდ 1 პერსონალური ფოლი მიიღო.

ალბათ ჩვენებურს უფრო უკეთესი სტატისტიკა ექნებოდა, რომ არა ინდიანელთა დიდი უპირატესობა, რის გამოც მთავარმა მწვრთნელმა რიკ კარლაილმა ბითაძე და გუნდის სხვა ლიდერები მესამე მეოთხედის შუა ნაწილიდან აღარ ათამაშა.

პეისერსმა 25 მოგება და 47 მარცხი მოაგროვა. ეს აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 შედეგია. მომდევნო მატჩს ინდიანა ისევ შინ, ამჯერად საკრამენტო კინგსთან ჩაატარებს.

იტალიის სერია ა-ში კი თორნიკე შენგელიას დებიუტი შედგა. ბოლონიური ვირტუსის ქართველმა ფორვარდმა ევროთასზე წარმატებული ასპარეზობის შემდეგ იტალიის ჩემპიონატიც შედეგიანად დაჯაშნიკა. მორიგი ტურის მატჩში ბოლონიურმა კლუბმა ვენეციას უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში – 81:77 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი სასტარტო ხუთეულში იყო და 30 წუთში 15 ქულა, 8 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა. თორნიკემ 9-დან 5 ორქულიანი და 8-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი ააცილა, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო.

ბოლონიელებმა იტალიის სერია ა-ში 18 მოგება და 3 მარცხი მოაგროვეს და ლიდერ მილანს გაუთანაბრდნენ, რომელმაც ამ ტურში ბრეშასთან მოულოდნელად წააგო. ვირტუსი მომდევნო მატჩში რეჯიო ემილიას უმასპინძლებს.

# საქართველო რაგბი ევროპის ჩემპიონია

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ხელდახელ შეტევას მოჰყვა, რომელიც ცენტრიდან დაიწყო. მარცხენა ფრთაზე მიხელ ნარიაშვილი გაიქცა და დიდი მანძილი მოიგო, მერე ბურთი საპირისპირო ფრთაზე ბოლომდე ჩათამაშდა, სადაც ტაბუცაძემ ზედ გვერდით ხაზთან ორი ბოჭვა აირიდა და მორიგი ლელო მიითვალა. აბჟანდაძემ რთული პოზიციიდან გარდასახა – 35:15.

მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ „ბორჯღალოსნები“ არ მოდუნდნენ და კიდევ 2 ლელო მიითვალეს: 72-ე წუთზე ბექა გორგაძემ 5-მეტრიანი შერკინებიდან შეუტია და ფორვარდების რამდენიმე დარტყმას ოთარ გიორგაძის დუბლი მოჰყვა. გაწითლებულ დროზე ესპანელებმა ჩხუბი აგვიტეხეს, გაბრაზებულმა საქართველომ ჯარიმიდან ბურთი აუტში გადაიტანა, დერეფნიდან მოლი დააყენა და გიორგი ჭყოიძემ ლელოთი დაასრულა. აბჟანდაძემ ორივე გარდასახა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 49:15.

საფინალო სასტვენის შემდეგ მორაგბეებმა, სიცივის მიუხედავად, სტადიონზე მისულ ქომაგებს მადლობა გადაუხადეს, მერე კი კუთვნილი მედლები და თასი ჩაიბარეს. საქართველო 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონია!

**ლევან მაისაშვილი:**

– ფინალი ყოველთვის განსხვავებული თამაშია და რთული შეხვედრა რომ გველოდა თავიდანვე ვიცოდით. გარდა ამისა, წელს ესპანეთი სხვა გუნდებთან შედარებით აშკარა ფავორიტი იყო. თამაშის გარდასატეხად 2-ვე ტაიმში დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა. კონსტრუქციული კრიტიკა ძალიან კარგია და ხშირ შემთხვევაში, ეს გარკვეულწილად მოტივაციასაც გვაძლევს, მაგრამ ხშირი იყო დაუსაბუთებელი განცხადებები, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ – ჩვენ გვექნება რთული თამაშები, რადგან ყველა ისე გვიყურებს, როგორც ფავორიტს და ცდილობენ მაქსიმალურად კარგად ითამაშონ. გარდა ამისა, ყველა გუნდმა თაობათა ცვლის პროცესი 4-5 წლის წინ გაიარა და ტურნირს კარგად მომზადებულები შეხვდნენ, ჩვენ ამ პროცესს ახლა გავდივართ. არის კიდევ ერთი მომენტი – ყოველთვის გვიჭირს ტურნირის დაწყება, რადგან მოსამზადებლად ცოტა დრო გვაქვს და სანამ გუნდი აეწყობა, არის პრობლემები. თუ გავიხსენებთ პირველ თამაშს, მთელი კვირა ფორსმაჟორში გავიარეთ. გუნდის 40%-ს, მწვრთნელიან მოთამაშეებიანად ომიკრონი შეხვდა და აბსოლუტურად მოუმზადებლები ვიყავით. მე-2 თამაში კარგად ჩავატარეთ, რუმინეთთან სტუმრად თამაში მარტივი არასდროსაა. ბუქარესტში მოვიგეთ, მაგრამ ისეთი კრიტიკა მივიღეთ, მე და გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე ერთმანეთს ვეკითხებოდით, ხომ არ წავაგეთ-მეთქი.

დიახ, ესპანეთთან საუკეთესო თამაში ვაჩვენეთ. დრო გვჭირდება სტაბილურობის მისაღწევად. ბოლო წლებში მსოფლიო რაგბიმ წესებში ისეთი ცვლილებები შეიტანა, რომ შერკინებაში ერთპიროვნული დომინაცია ნებისმიერ გუნდს უჭირს. დინამიკა, ცვლილებები, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ აუცილებელი იყო ჩვენი თამაშის სტილის შეცვლა. გარდა ამისა, გუნდი დატოვა არაერთმა ძალიან ძლიერმა მორკინალმა, რომელთა ჩანაცვლება ასე მარტივი არ არის. ლოგიკურია, რომ ასეთ სიტუაციაში თამაშის სტილის შეცვლაზე უნდა გვეფიქრა. არის კიდევ ერთი მომენტი. ყველა გუნდი, ვინც ჩვენთან სათამაშოდ ემზადება, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შერკინებაში თამაშს. ისედაც საჭირო იყო ბალანსი შერკინებასა და ხაზის თამაშში და ამ ყველაფერმა ეს კიდევ უფრო დააჩქარა. აქ თავისი წვლილი მიუძღვის შავ ლომს, სადაც ხაზის მოთამაშეების 80% გვყავს, მათთან მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა და ეს დაგვეტყო როგორც ნოემბრის ტესტებზე, ასევე რაგბი ევროპის ჩემპიონატზე. ვაგრძელებთ მუშაობას და ვეცდებით პრობლემები კიდევ უფრო შევამციროთ.

**მერაბ შარიქაძე:**

– კარგად ვითამაშეთ და ამჯერად ვერავინ მოგვედავება. წინა თამაშების შემდეგ დიდი კრიტიკა მივიღეთ და ძალიან გვინდოდა გულშემატკივარი გაგვეხარებინა. იმედი გვაქვს, რომ ყველა გავახარეთ და მსგავსი გამარჯვებები მომავალშიც არაერთი იქნება. ესპანეთი ამ ტურნირზე შექებას იმსახურებს, შექება ჩვენც გვეკუთვნის და მთელი გუნდით ამაყი ვარ, რადგან არ არის მარტივი, ამდენი ნეგატივის შემდეგ მობილიზება მოახერხო და სასურველი თამაში აჩვენო. რაც ნაკრებში ვარ სულ მესმის, რომ ხაზი ვერ თამაშობს და ყველა გასაყრელია ნაკრებიდან. დავიწყეთ ხაზით თამაში. ისე არ მინდა გამომივიდეს, რომ ძალიან მაგრები ვართ, მაგრამ, ფაქტია, უკეთ ვთამაშობთ და არსად შემხვედრია კომენტარი – რა კარგია, რუმინეთს ხაზით ოთხი ლელო რომ გავუტანეთ. საყვედურს არავის ვეუბნები, მაგრამ საწყენია მუდმივი კრიტიკა. გაგვიხარდებოდა შექება და მოტივაციაც აგვიმაღლდებოდა. ვეცდებით ჩვენი კარგი თამაშით კრიტიკოსებს დავუმტკიცოთ, რომ უკეთესები ვართ, ვიდრე მათ ჰგონიათ.

**სანტიაგო სანტოსი:**

– 50 წუთის განმავლობაში კარგად ვთამაშობდით, მაგრამ მერე სადავეები ხელიდან გავუშვით და შედეგიც შესაბამისი დადგა. ანგარიშით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი არ ვარ. ვულოცავ საქართველოს რაგბი ევროპის ჩემპიონატის მოგებას. ტრადიციული თამაში ვერ ვაჩვენეთ. ამინდმა ჩვენს გეგმებში კორექტივები შეიტანა და სანახაობრივი თამაში არ გამოგვივიდა.

**აფა ტაული:**

– საქართველოს ნაკრების გუნდურმა და ინდივიდუალურმა კლასმა თავი იჩინა და დასკვნით 30 წუთში ის თამაში ველარ ვაჩვენეთ, რაც მანამდე. ეს გასაკვირი არცაა, რადგან საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებში ბაზირებულ მორაგბეებს შორის დიდი სხვაობაა.

# შედეგები

## 20 მარტი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონიგა**

ლესტერი-ბრენტფორდი ..... 2:1
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი ..... 3:1

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 29 | 22 | 4 | 3 | 68-18 | 70 |
| 2.ლივერპული | 29 | 21 | 6 | 2 | 75-20 | 69 |
| 3.ჩელსი | 28 | 16 | 8 | 3 | 57-19 | 59 |
| 4.არსენალი | 28 | 17 | 3 | 8 | 44-31 | 54 |
| 5.ტოტენჰემი | 29 | 16 | 3 | 10 | 47-36 | 51 |
| 6.მანჩესტერი | 29 | 14 | 8 | 7 | 48-40 | 50 |
| 7.ვესტ ჰემი | 30 | 14 | 6 | 10 | 49-39 | 48 |
| 8.ვულვზი | 30 | 14 | 4 | 12 | 31-26 | 46 |
| 9.ასტონ ვილა | 29 | 11 | 3 | 15 | 41-40 | 36 |
| 10.ლესტერი | 27 | 10 | 6 | 11 | 42-46 | 36 |
| 11.საუთჰემპტონი | 29 | 8 | 11 | 10 | 36-45 | 35 |
| 12.კრ.პალასი | 29 | 7 | 13 | 9 | 39-38 | 34 |
| 13.ბრაიტონი | 29 | 7 | 12 | 10 | 26-36 | 33 |
| 14.ნიუკასლი | 29 | 7 | 10 | 12 | 32-49 | 31 |
| 15.ბრენტფორდი | 30 | 8 | 6 | 16 | 33-47 | 30 |
| 16.ლიდსი | 30 | 7 | 8 | 15 | 34-67 | 29 |
| 17.ევერტონი | 27 | 7 | 4 | 16 | 29-47 | 25 |
| 18.უოტფორდი | 29 | 6 | 4 | 19 | 29-55 | 22 |
| 19.ბარნლი | 27 | 3 | 12 | 12 | 22-38 | 21 |
| 20.ნორვიჩი | 29 | 4 | 5 | 20 | 18-63 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონიგა**

ქპრ-პიტერბრო 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლაიფციგი-აინტრახტი ..... 0:0
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი ..... 0:2
კიოლნი-დორტმუნდი ..... 1:1

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 27 | 20 | 3 | 4 | 81-28 | 63 |
| 2.დორტმუნდი | 27 | 18 | 3 | 6 | 67-38 | 57 |
| 3.ლევერკუზენი | 27 | 14 | 6 | 7 | 66-41 | 48 |
| 4.ლაიფციგი | 27 | 13 | 6 | 8 | 57-30 | 45 |
| 5.ფრაიბურგი | 27 | 12 | 9 | 6 | 43-29 | 45 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 27 | 13 | 5 | 9 | 49-40 | 44 |
| 7.კიოლნი | 27 | 10 | 10 | 7 | 38-40 | 40 |
| 8.აინტრახტი | 27 | 10 | 8 | 9 | 39-38 | 38 |
| 9.უნიონი | 27 | 10 | 8 | 9 | 33-38 | 38 |
| 10.მაინცი | 26 | 11 | 4 | 11 | 39-30 | 37 |
| 11.გლადბახი | 27 | 9 | 6 | 12 | 38-51 | 33 |
| 12.ბოხუმი | 27 | 9 | 5 | 13 | 28-39 | 32 |
| 13.ვოლფსბურგი | 27 | 9 | 4 | 14 | 29-42 | 31 |
| 14.შტუტგარტი | 27 | 6 | 8 | 13 | 35-50 | 26 |
| 15.აუგსბურგი | 26 | 6 | 8 | 12 | 29-44 | 26 |
| 16.ჰერტა | 27 | 7 | 5 | 15 | 29-60 | 26 |
| 17.არმინია | 27 | 5 | 10 | 12 | 22-38 | 25 |
| 18.ფიურტი | 27 | 3 | 6 | 18 | 24-70 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-დინამო ..... 1:1
კილი-ინგოლშტადი ..... 1:0
რეგენსბურგი-პადერბორნი ..... 1:0

**ესპანეთი. ჩემპიონატი დივიზიონი**

ესპანიოლი-მალიორკა ..... 1:0
კადისი-ვილიარეალი ..... 1:0
სელტა-ბეტისი ..... 0:0
სევილია-სოსიედადი ..... 0:0
რეალი-ბარსელონა ..... 0:4

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 29 | 20 | 6 | 3 | 59-25 | 66 |
| 2.სევილია | 29 | 15 | 12 | 2 | 40-19 | 57 |
| 3.ბარსელონა | 28 | 15 | 9 | 4 | 56-29 | 54 |
| 4.ატლეტიკო | 29 | 16 | 6 | 7 | 53-36 | 54 |
| 5.ბეტისი | 29 | 15 | 5 | 9 | 50-35 | 50 |
| 6.სოსიედადი | 29 | 13 | 9 | 7 | 29-29 | 48 |
| 7.ვილიარეალი | 29 | 12 | 9 | 8 | 48-27 | 45 |
| 8.ბილბაო | 29 | 10 | 11 | 8 | 33-28 | 41 |
| 9.ვალენსია | 29 | 10 | 10 | 9 | 42-43 | 40 |
| 10.ოსასუნა | 29 | 10 | 8 | 11 | 29-36 | 38 |
| 11.სელტა | 29 | 9 | 9 | 11 | 33-32 | 36 |
| 12.ესპანიოლი | 29 | 9 | 9 | 11 | 35-41 | 34 |
| 13.რაიო | 28 | 9 | 5 | 14 | 29-34 | 32 |
| 14.ელჩე | 29 | 8 | 8 | 13 | 30-40 | 32 |
| 15.ხეტაფე | 29 | 6 | 11 | 12 | 27-33 | 29 |
| 16.გრანადა | 29 | 6 | 10 | 13 | 31-46 | 28 |
| 17.კადისი | 29 | 5 | 12 | 12 | 25-41 | 27 |
| 18.მალიორკა | 29 | 6 | 8 | 15 | 26-49 | 26 |
| 19.ალავესი | 29 | 5 | 7 | 17 | 23-48 | 22 |
| 20.ლევანტე | 29 | 3 | 10 | 16 | 31-58 | 19 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ამორებიეტა-ალკორკონი ..... 0:0
პონფერადინა-ეიბარი ..... 2:2
ლეგანესი-ხიხონი ..... 1:1

**იტალია. სერია ა**

ვენეცია-სამპდორია ..... 0:2
ემპოლი-ვერონა ..... 1:1
იუვენტუსი-სალერნიტანა ..... 2:0
რომა-ლაციო ..... 3:0
ბოლონია-ატალანტა ..... 0:1

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 30 | 20 | 6 | 4 | 56-29 | 66 |
| 2.ნაპოლი | 30 | 19 | 6 | 5 | 53-22 | 63 |
| 3.ინტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 62-24 | 60 |
| 4.იუვენტუსი | 30 | 17 | 8 | 5 | 47-26 | 59 |
| 5.რომა | 30 | 15 | 6 | 9 | 50-35 | 51 |
| 6.ატალანტა | 29 | 14 | 9 | 6 | 51-31 | 51 |
| 7.ლაციო | 30 | 14 | 7 | 9 | 58-45 | 49 |
| 8.ფიორენტინა | 29 | 14 | 5 | 10 | 48-38 | 47 |
| 9.სასუოლო | 30 | 11 | 10 | 9 | 55-49 | 43 |
| 10.ვერონა | 30 | 11 | 9 | 10 | 55-47 | 42 |
| 11.ტორინო | 29 | 9 | 8 | 12 | 34-30 | 35 |
| 12.ბოლონია | 29 | 9 | 6 | 14 | 32-44 | 33 |
| 13.ემპოლი | 30 | 8 | 9 | 13 | 41-55 | 33 |
| 14.უდინეზე | 28 | 6 | 12 | 10 | 36-46 | 30 |
| 15.სამპდორია | 30 | 8 | 5 | 17 | 39-51 | 29 |
| 16.სპეცია | 30 | 8 | 5 | 17 | 31-54 | 29 |
| 17.კალიარი | 30 | 5 | 10 | 14 | 28-54 | 25 |
| 18.ჯენოა | 30 | 2 | 16 | 12 | 23-47 | 22 |
| 19.ვენეცია | 29 | 5 | 7 | 17 | 25-54 | 22 |
| 20.სალერნიტანა | 28 | 3 | 7 | 18 | 22-66 | 16 |

**იტალია. სერია ბ**

ვიჩენცა-ასკოლი ..... 2:0
პერუჯა-კომო ..... 0:1
პიზა-ჩიტადელა ..... 1:0
პორდენონე-ბრეშა ..... 1:1
სპალი-კრემონეზე ..... 0:2

**საფრანგეთი. ლიგა 1**

მონაკო-პსჟ ..... 3:0
ანჟე-ბრესტი ..... 1:0
ბორდო-მონპელიე ..... 0:2
ლორიანი-სტრასბური ..... 0:0
რენი-მეცი ..... 6:1
რეიმსი-ლიონი ..... 0:0
მარსელი-ნიცა ..... 2:1

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 29 | 20 | 5 | 4 | 59-27 | 65 |
| 2.მარსელი | 29 | 15 | 8 | 6 | 45-27 | 53 |
| 3.რენი | 29 | 16 | 4 | 9 | 63-28 | 52 |
| 4.ნიცა | 29 | 15 | 6 | 8 | 39-23 | 50 |
| 5.სტრასბური | 29 | 13 | 9 | 7 | 50-32 | 48 |
| 6.ლილი | 29 | 12 | 10 | 7 | 38-35 | 46 |
| 7.მონაკო | 29 | 12 | 8 | 9 | 43-30 | 44 |
| 8.ლანსი | 29 | 12 | 8 | 9 | 45-39 | 44 |
| 9.ნანტი | 29 | 12 | 6 | 11 | 36-31 | 42 |
| 10.ლიონი | 29 | 11 | 10 | 8 | 40-37 | 42 |
| 11.მონპელიე | 29 | 12 | 5 | 12 | 43-40 | 41 |
| 14.რეიმსი | 29 | 8 | 12 | 9 | 32-31 | 36 |
| 13.ბრესტი | 29 | 9 | 8 | 12 | 36-43 | 35 |
| 14.ანჟე | 29 | 8 | 8 | 13 | 32-41 | 32 |
| 15.ტრუა | 29 | 7 | 8 | 14 | 27-42 | 29 |
| 16.კლერმონი | 29 | 7 | 7 | 15 | 28-51 | 28 |
| 17.ლორიანი | 29 | 6 | 10 | 13 | 24-43 | 28 |
| 18.სტ.ეტიენი | 29 | 6 | 9 | 14 | 29-51 | 27 |
| 19.მეცი | 29 | 4 | 11 | 14 | 26-52 | 23 |
| 20.ბორდო | 29 | 4 | 10 | 15 | 38-70 | 22 |

**ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი**

უტრეხტი-გრონინგენი ..... 1:3
აიაქსი-ფეიენოორდი ..... 3:2
ვიტესი-ვალვაიკი ..... 1:2
პსვ-სიტარდი ..... 5:0
ტილბურგი-ალკმაარი ..... 2:2

**პორტუგალია. პირველი ლიგა**

ჟილ ვისენტე-მარიტიმუ ..... 1:1
ფერეირა-მორეირენშე ..... 2:1
ბენფიკა-ეშტორილი ..... 2:1
პორტიმონენშე-ბრაგა ..... 1:2
ბოავიშტა-პორტუ ..... 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-გენკი ..... 3:1
კორტრაიკი-სტანდარდი ..... 0:1
გენტი-ანდერლეხტი ..... 1:0
სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი ..... 3:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ზალცბურგი ..... 1:4
შტურმი-კლაგენფურტი ..... 3:1
რაპიდი-აუსტრია ..... 1:1
ჰარტბერგი-ლინცერი ..... 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-რეინჯერსი ..... 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-გირესუნი ..... 4:1
სივასი-ალთაი ..... 2:1
გაზიანთები-გალათასარაი ..... 3:1
ფენერბახჩე-ქონია ..... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-ოლიმპიაკოსი ..... 1:1
არისი-პანათინაიკოსი ..... 0:0
აეკი-პაოკი ..... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-სიონი ..... 2:1
გრასჰოპერსი-ბაზელი ..... 2:4
ლუგანო-ლოზანა ..... 3:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოლესლავი-სპარტა ..... 0:3
სიგმა-ლიბერეცი ..... 1:0
ტეპლიცე-ჭრადეც კრალოვე ..... 1:2
სლავია-ჩესკე ..... 1:0

**ჰოლანდია. ექსტრაჯენასი**

რადომიაკი-სტალი ..... 1:1
კრაკოვია-პიასტი ..... 0:1
გურნიკი-ნეცეჩა ..... 1:1

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

პაკში-დებრეცენი ..... 0:1
უიპეშტი-ჰონვედი ..... 0:2

**დანია. სუპერლიგა**

ვაილე-ოდენსე ..... 2:0
ოლბორგი-ბრონდბიუ ..... 3:0
ორხუსი-ვიბორგი ..... 1:1
სონდერიისკე-რანდერსი ..... 1:1
სილკებორგი-მიდტიულანდი ..... 0:1
კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი ..... 1:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ჯოსვოხდი ბ



**შვეულად:** დონ კიხოტის სატრფოს სახელი; 2. არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული ნივთი; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 7. ყურის ანთება; 9. იტალიური სამოდელო ფირმა; 12. შუშხუნა ღვინოების დასაყენებელი ჰერმეტული რეზერვუარი; 14. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 15. ნიადაგის გამაფხვიერებელი კულტივატორი; 17. ჩინელი ფილოსოფოსი; 20. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე.

**თარაზულად:** 5. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 6. იტალიური რესტორანი; 8. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 10. ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 11. მეფის მრჩეველი; 13. რაიმეს განხილვა შეფასების მიზნით; 16. ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი; 18. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 21. ესპანური ავიაკომპანია; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. განცალკევებული საკანი საპატიმროში პატიმრის მკაცრი დასჯისთვის.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვიადუკი; 2. მექისე; 3. მესაჯერო; 4. სატელიტი; 7. სიბელიუსი; 8. აკვარელი; 12. წუწუნავა; 14. ფილოლოგი; 16. წერაქვი; 17. კალმახი; 19. რემა; 20. ქაჯი.

**თარაზულად:** 5. ზიმბაბვე; 6. შვეიცარია; 9. სულორი; 10. სირაჯი; 11. ტვიში; 13. ტუმბო; 15. პიარნუ; 18. მესხი; 21. ქორწინება; 22. ქარაგმა; 23. კარწახი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვიბრაცია; 2. ბოლტი; 3. მანსარდა; 4. ღალატი; 7. კრიჟი; 9. ჯუნტა; 12. აბასთუმანი; 14. ტეხური; 15. იღუმენი; 17. ბაირამი; 20. აკინი.

**თარაზულად:** 5. სიმბიოზი; 6. იზაბელა; 8. კეჩქერი; 10. ლაჟვარდი; 11. სინხუა; 13. ანალები; 16. ტალავერი; 18. თართი; 19. ლუვრი; 21. იკორთა; 22. ინსულინი; 23. ჰოფმანი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**22 მარტი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2219

ევრო — 3.5599

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2326

100 რუსული რუბლი — 3.0678

## ამინდის პროგნოზი 22 მარტისათვის

ISSN 1987-9385


## კრიშტიანო რონალდუს მომავალი გაურკვეველია



პორტუგალიელი ვარსკვლავის კრიშტიანო რონალდუს მომავალი გაურკვეველია, რადგან ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა ის მანჩესტერში სეზონის ბოლოს და რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას. რონალდუს მსგავსი კითხვა დაუსვეს და მან პასუხს თავი აარიდა, რამაც უფრო მეტი ჭორი გამოიწვია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რონალდუ, შესაძლოა, ლისაბონის სპორტინგში დაბრუნდეს, სადაც დაიწყო კიდეც მისი კარიერა.

## სალაჰისთვის ბრძოლაში პსჟ-ც ჩაერთო

ლივერპულის ეგვიპტელი შემტევის მოჰამედ სალაჰისთვის ბრძოლაში პსჟ-ც ჩაერთო და პარიზელები მზად არიან, სოლიდური თანხაც გადაიხადონ, თუმცა კონკრეტული ციფრი ჯერ არ სახელდება.

ცნობილია, რომ სალაჰის ყიდვა ბარსელონას სურს და თვითონ ეგვიპტელიც ამ ტრანსფერის მომხრეა.

სალაჰს კონტრაქტი ლივერპულთან 2023 წელს უმთავრდება და ჯერჯერობით მის გახანგრძლივებას არ აპირებს.

## ხავი: „ბარსელონა ძალიან კარგ ფორმაშია“

ბარსელონამ რეალი სტუმრად დაამარცხა 4:0 და, ბუნებრივია, რომ მატჩის შემდეგ ბარსელონას ყველა აქებდა და ადიდებდა.

ხავი ძალიან კმაყოფილი იყო და ამას არც მალავდა, თუმცა, მისი აზრით, პროგრესი ისევ შესაძლებელია:

– მინდა, რომ ამ წუთით დავტკბე, რადგან ვიცი, რომ ეს შესაძლოა დიდხანს არ გაგრძელდეს. გამარჯვება დავიმსახურეთ და რეალი ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ოპტიმალურ ფორმაში ვართ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მერაბ კოკოჩაშვილი 87 წლისაა

რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი 87 წლის გახდა. მისი კოლეგებისა და მეგობრების თქმით, იუბილარი კინემატოგრაფისტთა იმ უძვირფასეს უფროს თაობას მიეკუთვნება, რომელსაც თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვსწავლობდეთ მათგან იმ შესაშურ ოსტატობას, რომელიც დღევანდელ ქართულ კინოს ასე ძალიან აკლია.

– ვინც ბატონ მერაბს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ მასზე ახალგაზრდა არავინაა, – ასე აფასებენ მერაბ კოკოჩაშვილს მეგობრები.

მისი პირველი შეხვედრა კინოსთან მიხეილ ჭიაურელის ფილმ „გიორგი სააკაძეში“ შედგა, სადაც პატარა პაატას როლი შეასრულა, რამაც მომავალ კინორეჟისორზე უდიდესი შთაბეჭდი-


გაგრძელება მე-6 გვერდზე


## ასტროპროგნოზი

### 22 მარტისათვის

**ვერძი** – უმჯობესია, თუ ოჯახურ გარემოში დაისვენებთ. ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **კურო** – მოვლენებს ნუ გაუსწრებთ. საქმიანობის სფეროს გაფართოება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – რჩევების მიცემისაგან თავი შეიკავეთ. საკუთარი საქმით დაკავდით. **კირჩხიბი** – სავსებით კეთილისმყოფელი დღეა. დაწყებული საქმე დაუყოვნებლივ უნდა დაასრულოთ. **ლომი** – ეს დღე სასიცოცხლო პოტენციალის დაქვეითებით ხასიათდება. კარგი იქნება, თუ ცოტა ხნით განმარტოვდებით. **ქალწული** – აქტიურობას პლანეტები გიკრძალავენ. არც სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა დაგაყრით ხეირს. ერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს. **სასწორი** – არარეალურ საქმეს ნუ შეეჭიდებით. ნუ იქნებით ეჭვიანი. პასიური დღეა. **ღრიანკალი** – იფრთხილეთ. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. სიბრძნე და გონიერება მოგეთხოვებათ. **მშვილდოსანი** – შემოსავლის ახალ წყაროს ნუ ეძებთ. ერიდეთ მკვეთრ გამონათქვამებს. გეგმებს ნუ დასახავთ. **თხის რქა** – ცდუნებებით აღსავსე დღეა. თავი მოთოკეთ და ილუზიებისგან გათავისუფლდით. **მერწყული** – ინიციატივას თუ გამოიჩენთ, საქმეს თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნებთ. მაქსიმალურად იაქტიურეთ. **თევზები** – საკუთარ თავზე იმარჯვებთ. ნებისყოფა არ გღალატობთ. დღეს საქმიანობის დიდი ნაწილი ფინანსებს უკავშირდება.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

•••

ექიმი პაციენტს ეკითხება:
– როგორ იძინებთ?
– კარგად, სამამდე ვითვლი და ვიძინებ.
– როგორ, მხოლოდ სამამდე?
– არა, ზოგჯერ ოთხის ნახევრამდეც...

•••

მამაკაცი შეშინებული სახით ეკითხება ქალს:
– ვინ ხართ?
– მე შენი ოცნების ქალი ვარ!
– ჰოო? კი მაგრამ, მე ასეთზე არ მიოცნებია!
– რა იზამ, ასეთი აგისრულდი!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება?
– დასალევი რა გაქვს?
– წყალი.
– და რაიმე მაგარი არ გაქვს?
– კი, ყინული.

•••

ორი სტუდენტი გამოცდების წინ. ერთი მეორეს ეკითხება:
– რას კითხულობ?
– კვანტურ მექანიკას.
– და მერე წიგნი უკუღმა რატომ გიჭირავს?
– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, რო...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სალომე ჭაჭუა ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალშია

მოცეკვავე სალომე ჭაჭუა თავის მეწყვილე ჯორდან ქონროისთან ერთად ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალისტი გახდა.

ნახევარფინალში სალომემ ცეკვა კოვიდის დადასტურების გამო ვერ შეძლო, თუმცა ჯორდანმა თავის დროებით მეწყვილესთან ერთად საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი წარმოაჩინა და, ჟიურისა და მაყურებლის გადაწყვეტილებით, რჩეულთა შორის მოხვდა.

ნახევარფინალში დაბრუნებული სალომესა და ჯორდანის საკონკურსო ნომერი ჟიურიმ უმაღლესი ქულებით შეაფასა, არც ოვაციები დაიშურა და არც საქებარი სიტყვები და წყვილი პროექტის ფინალისტად დაასახელა.

## პენელოპა კრუზმა დემნას სამოსი მოირგო

ცნობილმა ესპანელმა მსახიობმა პენელოპა კრუზმა ქართველი დიზაინერის, დემნას, ულამაზესი წითელი კაბა მოირგო. მსოფლიო ვარსკვლავის ყურადღება მიიპყრო დემნას 2022 წლის რეზორტ კოლექციის ერთ-ერთმა გამორჩეულმა სამოსმა. პენელოპას წითელი კაბა ისე მოეწონა, რომ ჟურნალისტებისთვის პოზირებაც არ დაზარებია.

დემნას სამოსი არაერთი მსოფლიო ვარსკვლავის გარდერობში საპატიო ადგილს იკავებს. ბიონსე, ჯენიფერ ლოპესი, რიანა, სელინ დიონი, ბიორკი, სელენა გომესი, ჯასტინ ბიბერი, ნიკოლ კიდმანი, ბელა ჰადიდი – ეს იმ ვარსკვლავების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ქართველი დიზაინერის სამოსს უპირატესობას ანიჭებენ. მათ ესპანელი მსახიობი პენელოპა კრუზიც შეუერთდა.

## ქუთაისში ცნობილი ადამიანების საფლავებს ქურდავენ

ორი თვეა, ქუთაისის სასაფლაოები იქურდება. უგზოუკვლოდ გაქრა უამრავი კოლორიტის ბიუსტი – ცნობილი ექიმების, მხატვრების, სპორტსმენების, განათლებისა და ხელოვნების მუშაკების, ადამიანების, რომლებიც საკუთარ შემოსავალს ქუთაისის აღორძინებასა და ხალხის კეთილდღეობას ახმარდნენ. ეს ბიუსტები მათ მადლიერმა საზოგადოებამ დაუდგა, ახლა კი ამ ღვაწლმოსილი ადამიანების უკანასკნელი განსასვენებლები გაძარცვულია.

ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის პედაგოგმა, ქუთაისინიუპორტის საერთაშორისო ასოციაციის წევრმა მადლენა გიორგაძემ სპეციალური პეტიცია შექმნა, სადაც საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრს, პროკურატურას, ქუთაისის მერიას მიმართავს და თან ღირსებააყრილი ქუთაისის გადასარჩენად ხელმოწერებს აგროვებს:

– აღშფოთებული, ღირსებააყრილი ქუთაისელები მოგმართავთ. ორ თვეზე მეტია, რაც ქუთაისში დაფიქსირდა ვანდალურ-კრიმინალური ფაქტები. იძარცვება ქალაქისა და ქვეყნისთვის შეწირული ადამიანების საფლავები საფიჩხიის, ოღასკურისა და მწვანეყვავილას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან. ერთ ღამეში გაქრა უამრავი კოლორიტის ბიუსტი. ესენი იყვნენ ცნობილი ექიმები, მხატვრები, სპორტსმენები, განათლებისა და ხელოვნების მუშაკები, ადამიანები, რომლებიც საკუთარ შემოსავალს ქუთაისის აღორძინებასა და ხალხის კეთილდღეობას ახმარდნენ. ეს ბიუსტები მათ მადლიერმა საზოგადოებამ დაუდგა.

ქუთაისის ფასდაუდებელი საგანძურის ძარცვა გრძელდება სამართალდამცავი ორგანოების „ჩასაფრების“ პერიოდშიც. განადგურდა ქუთაისის XX საუკუნის ისტორია. თითოეული ეს ბიუსტი ამ ისტორიის მატარებელი იყო.

მიგვაჩნია, რომ ქალაქის თვითმმართველობა, რომლის უშუალო დაქვემდებარებაშია სასაფლაოების მართვის ორგანიზება, გულგრილობას იჩენს საქმისადმი. რომ არა ჩვენი საზოგადოების აქტიურობა, საქმის მიჩუმათებასაც ცდილობენ მთელი ეს პერიოდი. ასევე მიგვაჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არაჯეროვნად, გულგრილად და არასრულფასოვნად ახორციელებს საკუთარ უფლება-მოვალეობებს.

მოვითხოვთ, სასწრაფო წესით პრემიერ– მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა პირადად კონტროლზე აიყვანონ ეს საქმე და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოახდინონ კრიმინალთა იდენტიფიცირება.

ვალდებულებას ვაკისრებთ ყველა იმ ინსტანციას, რომლებმც გამქრალი ბიუსტების კონტროლი ვერ მოახდინეს.

დააბრუნონ ან აღადგინონ კოლორიტების ბიუსტები. და თუ ამას ვერ მოახერხებენ, დატოვონ ის თანამდებობები, ასე თავმომწონედ რომ უკავიათ.

სირცხვილია! საამაყო ქალაქი სამარცხვინო ქალაქად იქცა. აღუდგინეთ ქუთაისს ღირსება!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ჯოსვოხდი ა



**შვეულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ბულგარეთში; 2. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 3. შვედეთის პარლამენტი; 4. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 7. სულიერი განწმენდა; 8. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. საკრედიტო დაწესებულება; 14. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 16. ცხოველთა საჭერი მახე; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 19. მკბენარა მწერი; 20. ქართული გაზეთი.

**თარაზულად:** 5. სვანური ციხე-კოშკი; 6. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთსა და კალათბურთში; 9. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 10. შამფურზე შემწვარი ხორცი; 11. ყურის ანთება; 13. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 15. ანგორული თხის მატყლი; 18. წნული ქოხი სამეგრელოში; 21. ფრანგული ვაშლის ღვინო; 22. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 23. უძველესი ქართული სახელმწიფო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*